წელიწადი მესამე — ფასი 10 კაპ. — შაბათი, 1917 წ. თიბათვის 10 (22)

# საქართველო

ხელის მოწერა და ცალკე ნომრები განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ტელეფონი 15—73

ფოსტის მისამართი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ ред. газ. „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადებათა ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი — მოწინავე გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე — 20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში — 80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 124 — ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა — № 124



ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ანნა ანდრიას ასული და ვასილი სპირიდონის ძე ბარკალაია, შვილებითურთ ბაბილინა, ვასიკო და აკაკით და დეიდა ნადეჟდა ანდრიას ასული ბრაკალაია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროვოდ გარდაცვალებულის თბილისის პირველ საქალებო გიმნაზიის მოწაფის

**თამარ ვასილის ასული ბარკალაიას**

წლის თავის შესრულებისა გამო, კვირას, თიბათვის 11, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და სასაფლაოზედ პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად.
1—674—1

**ებრაელთა საქველმოქმედო საზოგად. შენობაში**
(საზაფხულო ბინა. ბელგიის ქუჩა 8).
**თბილისის სიონისტთა ორგანიზაცია „ცენტრალ-ციონ“**
შაბათს, თიბათვის 10-ს და კვირას, თიბათვის 11-ს, ნაჩვენები იქნება დიდი სინემატოგრაფის სურათი
**„ებრაელთა ცხოვრება პალესტინაში“**
3000 მეტრი. ექვსი განყოფილება. 165 სურათი. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. თუ ცუდი ამინდი იქნება სურათის დემონსტრაცია გადაიდება. ამის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—673—1

**ახალი კლუბის საზაფხულო შენობა**
შაბათს, 10 ივნისს
**სოციალ-დემოკრატიულ გაზ. „ალიონის“**
ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება
**დიდი საღამო**
წარმოდგენით და საკონცერტო განყოფილებით
მონაწილეობას მიიღებენ ქართული დრამის მსახიობნი ვასო და ტასო აბაშიძენი და სხვ.
სიმღერის პროფესორის **რიაზნოვის სტუდია**
საღამო შესდგება სამი განყოფილებისაგან:
I. განყ. ქართული წარმოდგენა
**„რაც არ მერგება, არ შემერგება“**
ვოდ. 1 მოქ.
II. განყოფილება
**ნ. ქართველიშვილის** ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნება სხვა და სხვა სამუსიკო №№-ბი სტუდიის მოწაფეთაგან.
III. განყოფილება
**აღმოსავლეთური ცეკვა**
საღამოსათვის ბაღში მოწყობილი იქნება კიოსკები, პტი-შვო, კონფეტი, ფოსტა და სხვა გასართობები. საღამოსთვის მოწვეულია კლუბის ორკესტრი და
**დუდუკი.**
დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.
ბილეთები ამ თავითვე იყიდება „ალიონის“ რედაქციაში.
1—724—3 — გამგე საღამოსი ანნა ქავთარაძისა.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მეორე რაიონის კომიტეტი**
ამით აცხადებს, რომ თანამგრძნობთ წევრებათ ჩაწერა ხსენებულს პარტიაში შეუძლიანთ შემდეგს ბინებზედ: მეორე უბნის ბიუროში, მამადავითის სამრევლო სკოლა თამარის? ქუჩა № 18, 10—12 საათამდე და საღამოთი 5—8 საათამდე, გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში — ვანო ავალიშვილთან, დილის 9 საათ. საღამოს 6 საათამდე.
6—669—5

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა
**ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები**
**სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.**
გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:
ს. გორგაძის — „ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“.
ე. თაყაიშვილის — „ხელთნაწერის მიმოხილვა“.
ნ. დუბროვსკის — „მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“.
ი. მეუნარგიას — „ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“.
გრ. რობაქიძის — „ნიკო ბარათაშვილი“.
დ. უზნაძის — „პოეტის სული“.
გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.
წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.
წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50). სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.
(10—555—14)

**კვირას, თიბათვის 11-ს 1917 წ.**
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამ. საზოგადოების სასარგებლოდ ახალ კლუბის ბაღში გაიმართება
**დიდი სახალხო სეირნობა**
**ლატარია-ალეგრი**
წმინდა შემოსავლის 10% გადაიდება ომისაგან დაზარალებულთა ოჯახების სასარგებლოდ.
**გასართობები ბავშვებისათვის და დიდებისათვის:**
პტი-შვო, ბედნიერების კლიტე, დედოფალა, ყვავილები, ფოსტა, რგოლების სროლა, ბედნიერების ბორჯა, ტუმბო, საბავშვო გასართობები, კიოსკები და სხვა.
სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.
**დასაწყისი დღის 3 საათზე**
შესასვლელი ფასი დიდებისათვის 60 კ. მოწაფეთა და პატარებისათვის 35 კ.
3—726—2

**ამიერ-კავკასიის ბანკი**
თბილისი, ლორის მელიქოვის ქუჩა, სახლი № 5, ტელეფონი № 5—26)
**ამით აცხადებს, რომ ბანკი დაიწყებს მოქმედებას კვირას, მკათათვის 2-ს 12 საათზე**
ყველა სააქტივო და საპასივო ოპერაციების შესახებ განცხადებანი მიიღება ამა წლის თიბათვის 15-დან.
დროებითი მოწმობანი აქციონერებს შეუძლიათ მიიღონ 15 თიბათვიდანვე; ამისთვის მათ უნდა წარმოადგინონ, ან ფოსტით გამოგზავნონ საორგანიზაციო კომიტეტის დროებითი კვიტანციები და სააქციო კაპიტალის შემოტანის სხვა დამადასტურებელი საბუთები.
შენიშვნა: აქციების მიღებაში უპირატესობა მიეცემა იმ პირთ, რომელთაც სააქციო კაპიტალი სრულიად შემოიტანეს 15 აპრილამდე, დანარჩენ ხელის მომწერთ შორის კი — მათ, ვინც უფრო ადრე შემოიტანა სააქციო კაპიტალის მეორე ნახევარი.
დროებითი კვიტანციების პირველ ხელის მომწერთაგან გადაცემა ახალ პირთა ხელში შემოწმებული უნდა იყოს პირველ ხელის მომწერთა მიერ და მათი ხელის მოწერა კი დროებით კვიტანციაზედ — დამოწმებული საორგანიზაციო კომიტეტისა, ბანკის საბჭოსა, გამგეობის ერთ-ერთ წევრის მიერ, ან კანონით დადგენილ წესით.
15 ივნისიდანვე შეიძლება მიიღონ შემოტანილი ფული იმ ხელის მომწერლებმა, რომელთაც სააქციო კაპიტალი დროზედ არ შემოუტანიათ და აქციების მიღების უფლება დაეკარგათ. 1—725—1


საყოველთაო სიძვირე დღითი-დღე იზრდება. ამ სიძვირეს რასაკვირველია ვერ ასცდა გაზეთის გამოცემის საქმეც.
სულ მოკლე ხანში აწყობისა და ბეჭდვის ხარჯი ერთი-სამად გადიდდა, მოიმატა სხვა ხარჯებმაც. ამიტომ იძულებული ვართ, დროებით გავადიდოთ გაზეთის ფასი.
მაისის ოციდან „საქართველოს“ თითო ნომერი
**ღირს 10 კაპ.**
ამასთანავე პირველ ივნისიდან მომატებული იქნება ხელის-მოწერის ფასიც. წლის ბოლომდე 1 ივნისიდან ეღირება 10 მან., 3 თვით 5 მან., ხოლო ერთის თვით 2 მან.
იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გამოწერილი აქვთ უკვე გაზეთი მთელის წლით, დამატებითი ფული არ გადახდებათ.


ექიმი
**მ. ფ. მგალობლიშვილი**
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღის ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
**მ. ი. მაჩნაძე**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზუბალოვის? ქ. № 4. (ო.—202—)

ექიმი
**მ. მ. მუხაძე**
იღებს სადიაბეტიკო? ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
**ე. ღ. შალამბერიძე**
იღებს საბებიო და საშვილოსნო ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანტიმოზის ძე
**კალანდარიშვილი**
უმცროსი ექიმი ლიტ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ოლღის ქ. № 8.

ექიმი
**მ. გ. ვეშაპაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევსკის ქუჩა, № 19.

ექიმი ქალისა
**ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა**
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.


## თბილისი, თიბათვის 10.

### რევოლუციის ტემპი

„მტკიცე ერთობა ყველა მოქალაქესთან ერთად თავისუფლების გასამარჯვებლად, აი ის ტაქტიკური დანიშნულება, რომელიც შიშველი წარმოუდგა რუსეთის რევოლუციონურს პროლეტარიატს“, — ასე არკვევს დღევანდელი დღის ტაქტიკის საკითხს სოც.-დემოკრატების ლიდერი გ. პლეხანოვი ერთ ერთს თავის უკანასკნელ წერილში. მას, სხვათაშორის, ეუცნაურება ის გარემოება, რომ გერმანელ სოც.-დემოკრატების ლიდერმა შეიდემანმა გაიკვირვა, როგორ მოხდა, რომ სოციალისტი კერენსკი შინგარევის ტიპის ლიბერალებთან ერთად ჰმუშაობსო. მის ასეთს საყვედურში პლეხანოვი ერთგვარ პროვოკაციას ჰხედავს: მან კარგად უწყის, რომ პროლეტარიატის გამოცალკევება დაჰღუპავს ჩვენს ქვეყანას და თავდაცვის უნარსაც დაუკარგავსო ამბობს პლეხანოვი. პლეხანოვისთვის ცხადზე უცხადესია, რომ დღევანდელი რევოლიუციის გამარჯვება არაა მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის ფარხმალის აწკრიალების ნაყოფი, რომ ამ გამარჯვებაში დიდი ამაგი დასდო „რუსეთის ყველა წოდებამ და კლასმა, ვისი ინტერესებიც კი ბევრად თუ ცოტად იჩაგრებოდა საშინელი დესპოტიზმისაგან“, და რომ „ერთადვე ჰმართებს ყველას სვლა, ვიდრე ომის ლიკვიდაცია მოხდება“, ვინაიდან „თუ ჩვენში სამოქალაქო ომის ცეცხლს გავაჩაღებთ, მაშინ გამარჯვებულნი დამარცხებულნი გამოვლენ, მონობის უღელს დაგვადგენენ და ძველს რეჟიმს აღგვიდგენენ“. ასე მსჯელობს რუსეთის პროლეტარიატის ბერი მინდია — პლეხანოვი, ეს ის პლეხანოვია, რომელიც ოდესღაც საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის იდეით ლოღიკურად ჰგმობდა თვით ეროვნულ სახელმწიფოებრივობის იდეას, რაიც თეორეტიულად მაინც ჰკლავდა მამულიშვილობის აზრსაც და გრძნობასაც. თეორეტიული ინტერნაციონალიზმი ისევე დაინგრა პლეხანოვისთვის პრაქტიკულს ნიადაგზე, როგორც დასავლეთელ სოციალისტებისთვის.

მაგრამ აქ ანგარიშების გასწორებას არ მოვყვებით. დოქტრინერთა ლოღიკა სოფისტიკის გუდაში იმარხება და ყოველთვის ფანდს ფანდზე გამოიგონებენ თავის გასამართლებლად. ფაქტი ისაა, რომ მან იცნო დღევანდელი რევოლუცია „ყველა კლასისა თუ წოდების ბრძოლის ნაყოფად“, და რომ ვერც ერთი ჩვენებური ფედერალისტის განცხადება ვერ დააჯერებს მას, ვითომც მარტოდ მარტო ხიზტმა და ჩაქუჩმა მოახდინა რევოლუცია იგი და ვითომც მარტო ამ ორს ჰმართებს ეხლავე მუშტის მოღერება სამოქალაქო ომის გადასაწყვეტად, რა თქმა უნდა, სოციალიზმისა და სოციალიზაციის დასაჩქარებლად. არა, პლეხანოვი უფრო ლმობიერია, აუჩქარებელი და სამართლიანადაც მოითხოვს ერთობის ჯაჭვი არ დავწყვიტოთ, რათა მისი შემადგენელი რგოლები ალთა-ბალთას არ გადვეკარგნოთ.

მაგრამ ჰკუა და სიბრძნე ერთია და რუსეთის სინამდვილე მეორე. მიუხედავად ავტორიტეტულ დარიგებისა რუსეთის რევოლუცია სტიქიურს სახეს იღებს. ცნობა ცნობაზე მოდის, თუ ანარქიის ტალღები როგორ ივსებს მთელს რუსეთს. პატარა ნიმუში, თუნდა გუშინდელ ცნობებიდან: „ცარიცინში პანიკაა, საქონელი მოდის, მაგრამ გემების დაცლა შეუძლებელია, რადგანაც მუშები ორჯელ მეტს თხოულობენ, ვიდრე საქონელი ღირს. 11 მილიონი ფუთის მაგივრად მილიონ ნახევარი ფუთი საქონელი მოვიდა“... მუშათა ხელფასის ზღაპრული გადიდება ყოველგან ჰხდება. რუსის მანეთიანმაც 50% დაიწია. თუ გავიხსენებთ ახლა იმ ამბებს, რომ გლეხობა აგრარულ მოძრაობის შიშით აღარას სთესავს და ზოგან 50 მან. საფასურის სამუშაო 1500 მანეთად ჯდება, უნდა მოლოდინი გვქონდეს, რომ დღეს თუ ხვალ რუსეთს დაუდგება ის საშინელი ხანა, რაც განიცადა საფრანგეთმა დიდი რევოლიუციის დროს, როდესაც წყვილი ფეხსაცმელი ათი ათასობით ჰღირდა, ხოლო გირვანქა პურში ათას ფრანკებსაც არ იშურებდნენ.

მდგომარეობა მით უფრო გართულდა რუსეთში, რომ სარევოლუციო პოლიტიკა ომის პოლიტიკასთან გადიხლართა. კოალიციონურს სამინისტროს მიერ შედგენილი ფორმულა „ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციო“ უარყოფილი იქმნა მოკავშირეებიდან. საგონებელში ჩავარდნილი ახალი მთავრობა ჰფიქრობს ერთგვარის ულტიმატუმით წარსდგეს მოკავშირეთა წინაშე, მაგრამ, ჩერნოვის შენიშვნისა, არ იყოს, დიდს სახელმწიფოებს ულტიმატუმებით არ ელაპარაკებიან, მით უმეტეს, ისეთს ნერვიულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ისეთი ქვეყანა, როგორიც რუსეთია. დაურთეთ ისიც, რომ თვით პარტიებშიაც განხეთქილებაა და ლიდერები უსაყვედურებენ სოციალისტ მინისტრებს, რატომ შეხვდით ბურჟუაზიულს სამინისტროში და მაშინ წარმოგიდგებათ მეტად მწვავე მდგომარეობა რუსეთისა.

რაშია ქვეყნის ხსნა? დაჰყაროს კოალიციონურმა სამინისტრომ ფარხმალი? ჩვენის აზრით არა, თუნდაც ამას ძალითაც მოითხოვდნენ. მომენტი რუსეთის დღევანდელი მდგომარეობისა ფრიად წააგავს რომისას, როდესაც ბარბაროსები შესივნენ. თმა თეთრი სენატორები ადგილიდანაც არ დაიძვრნენ მაშინაც კი, როდესაც ბარბაროსნი ჯოხებით სცემდნენ, გარედ ერეკებოდნენ და ათას შეურაცხყოფას აყენებდნენ. კოალიციონურმა სამინისტრომ უნდა ლოგიკურ დასკვნამდე მიიყვანოს თავისი გარდაწყვეტილება, ზავის საკითხი დააჩქაროს, რათა მხოლოდ ერთს პოლიტიკას შეეწიროს — რევოლუციის საკითხს. მას უფრო, როგორც კოალიციონურს სამინისტროს, შეუძლიან მთელი ხალხის შემოერთება, მას უფრო მეტი ნდობა აქვს მოხვეჭილი, აკლია მხოლოდ ავტორიტეტობა და ეს ავტორიტეტი თვითონვე უნდა შეჰქმნას ძლიერი ნებისყოფის გამოჩენით, რათა შესძლოს პლეხანოვის აზრთა განხორციელება, ყველა ელემენტების შემოკრება, ოღონდ კარდინალურის შესწორებით, არა იმიტომ, რომ „ომი ბოლომდის“ გავიხადოთ დევიზად, არამედ იმიტომ რომ დავაჩქაროთ ზავი და რევოლიუციის ლიკვიდაცია! შესაძლებელია რომ ზავის პირობები მძიმე იყოს, ისიც მართალია, რომ განახლებული რუსეთი ყოველიფერს აიტანს. პირიქით მუყაითად შეუდგეს ნაყოფიერ მუშაობას ეროვნულ აღორძინების ნიადაგზე, თუ არა და კატასტროფა მოხდება.

### ავტონომია და ფედერალიზმი

(გაგრძელება. იხ. „საქარ.“ № 123)

როგორც ვიცით, გერმანიის იმპერია შეიცავს ოთხ სამეფოს (პრუსიას, ბავარიას, საქსონიას და ვიტემბერგს), 11 დიდ სამთავროს, 7 პატარა სამთავროს, 3 თავისუფალ ქალაქს (ჰამბურგს, ბრემენს და ლიუბეკს) და ეგრეთ წოდებულ საიმპერიო მიწას: ელზას-ლორენს. თვითეული მათგანი სარგებლობს ავტონომიის მაგვარ პოლიტიკური თვითმართველობით. ზოგიერთს საკუთარი პარლამენტიც-კი მოეპოვება (ლანდტაგი) და უფლებაც აქვთ გამართონ დიპლომატიური მოლაპარაკება გარეშე სახელმწიფოებთან.

მაგრამ მიუხედავათ ამგვარ პოლიტიკური დეცენტრალიზაციისა, გერმანია, ყოველ ექვს გარეშე, წარმოადგენს უდღესად მთლიან და ზედ-მიწევნით გაერთიანებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას.

ჩვენს წინაშე ეხლა აღმართულია მეტად საგულისხმიერო და დიდმნიშვნელოვანი საკითხი შესახებ იმისა, თუ როგორია ის პირობები, რომლის წყალობით შესაძლო ხდება ავტონომიური წყობილების მქონე ერთეულთა შორის

ფედერატიული კავშირის განხორციელება.

პირველი და აუცილებელი პირობა, ურომლისოთ ყოვლად შეუძლებელია ფედერატიული კავშირის დამყარება იმაში მდგომარეობს, რომ ფედერაციაში შესვლის მოსურნე ერთეულნი, კანტონები იქნებიან ისინი, შტატები თუ სხვა სახის მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციები, უნდა იყვნენ ერთმანეთთან დაახლოვებულნი და დაკავშირებულნი საერთო ისტორიული ცხოვრებით და თავგადასავალით, ზნე-ჩვეულებით, ტრადიციებით და აზროვნებით. აგრეთვე მატერიალურ, კულტურულ და ზნეობრივ განვითარების მხრივ დაახლოვებით ერთნაირ სიმაღლეზე უნდა იდგენ.

ამ თვალსაზრისით მოსახერხებელია და ბუნებრივი შვეიცარიის კანტონების, ჩრდილო-ამერიკის შტატების ფედერატიული კავშირი, ხოლო, იქ, სადაც არ არსებობენ ანალოგიური პირობები შეუძლებელია ფედერალიზმის გატარება.

თუ მაინც და მაინც მოისურვებენ და განახორციელებენ ფედერალიზმს, იგი მეტად ხანმოკლე და უნიადაგო იქნება.

ვინ არ იცის, რომ დიდ ბრიტანიის იმპერიაში მყოფ ერებს და კოლონიებს ვერავითარი საშვალებით ვერ მოუხერხებიათ არსებობა ერთ პოლიტიკურ სხეულში. არ იქნა არ მოხერხდა მათი დაახლოვება-დაკავშირება მეტროპოლიასთან, რადგან ერთობ ღრმა და დიდი გამოდგა ინგლისელთა და ამ უცხო ეროვნებათა და კოლონიალურ ქვეყნებში მოსახლე ხალხთა შორის არსებული რასიული, ლინგვისტური თუ კულტურულ-ზნეობრივი სხვა და სხვაობა და ინტერესთა წინაამდეგობა.

მათში თან და თან ძლიერდება სურვილი ინგლისიდან გათიშვისა, განცალკევებისა, საკუთარ, დამოუკიდებელ და სრულ უფლებიან ეროვნულ ცხოვრების დასამკვიდრებლად.

ამ მოვლენას ბევრი ხსნის ბრიტანიის კოლონიალური ქვეყნების სიშორით მეტროპოლიდან, რაც მეტათ აძნელებს ინგლისსა და მათ შუა შემაერთებელი ხიდის გადებას, მაგრამ მარტო ეს მიზეზი არა კმარა ამ ფაქტის ასახსნელად, რადგან მაშინ ჩვენთვის გაუგებარი იქნებოდა ინგლისის გვერდით მოსახლე ერის, ირლანდიის, ლტოლვა ბრიტანიის იმპერიიდან განშორება-გამოყოფისათვის.

იმავე მიზეზის გამო, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, მოუხერხებელია ავსტრო უნგრეთის იმპერიაში მოსახლე მრავალ ეროვნებათა შეკავშირება ფედერატიულ საფუძველზე, იმდენათ განსხვავებული და თავისებურია თითეული მათგანის ისტორიული ცხოვრება, ზნე-ხასიათი, ტემპერამენტი და მისწრაფებანი.

ჩვენი შეხედულებით არც რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა ფედერაცია გახლავთ შესაძლებელი, რადგან ერთობ დიდია მათ შორის არსებული განსხვავება, როგორც გვარტომობის მხრივ, აგრეთვე კულტურულ და ზნეობრივ განვითარების თვალსაზრისითაც.

რუსეთის იმპერიაში მოსახლე ყველა ეროვნებათა წარმომადგენლების მოღვაწეობა ერთს საერთო დაწესებულებაში, წმინდა ტეხნიკური თვალსაზრისითაც მოუხერხებლად საქმეთ მიგვაჩნია, რადგან აქ ერთმანეთს შეხვდებიან სხვა და სხვა კულტურის, სხვა და სხვა ისტორიული წარსულის მქონე და ერთი მეორის გაუგებარ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა წარმომადგენელნი, რაც შეუძლებლად ხდის მათ თანამშრომლობას და ნაყოფიერ მუშაობას საერთო საკანონმდებლო თუ სხვადგვარ ხასიათის საზოგადოებრივ დაწესებულებაში.

ზემო ნათქვამიდან შემდეგი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ: ფედერალიზმი არ არის უნივერსალური ხასიათის მქონე პოლიტიკური მოძღვრება. მისი შემოღებისათვის განსაზღვრული პირობებია საჭირო, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი.

რუსეთის იმპერიის ფარგლებში მცხოვრებ ეროვნებათა-ფედერატიული კავშირი მეტად რთულ პოლიტიკურ პრობლემას წარმოადგენს. ყოვლად შეუძლებელია მისი ერთი კალმის მოსმით გადაჭრა, როგორც ამას ჩვენში ფიქრობენ.

პირველად ყოვლისა ის არის აღსანიშნავი, რომ ავტონომიურ ერთეულთა ფედერატიულ კავშირში შესვლა თვითეულ ამ ერთეულთა თანხმობით უნდა მოხდეს.

ევროპის და ამერიკის ყველა ფედერატიები თავისუფალ შეთანხმების ნიადაგზე არიან აღმოცენებულნი, მასთან ყოველი ამ ფედერაციაში მყოფი პოლიტიკური ერთეული წინათ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ სხეულს წარმოადგენდა.

ა. თორაძე.

(შემდეგი იქნება)

# ომი და ზავი

## დეპეშები

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** თიბათვის 8. ოფიციალი. მდ. სუშეს ჩრდილოეთით სამი უნაყოფო საიერიშო ცდის შემდეგ, მტერმა შუაღამისას მეოთხეჯერ მოიტანა ჩვენზე იერიში, მაგრამ მოვიგერიეთ.

**მფრინავთა მოქმედება.** თუმცა ამინდი ხელს არ გვიწყობს, მაგრამ მფრინავთა მოქმედება ფრიად ნაყოფიერია. საჰაერო ბრძოლის დროს ჩვენ გერმანელთა ერთი აპარატი ჩამოვაგდეთ, ხოლო მეორე დავაზიანეთ და ვაიძულეთ ძირს დაშვებულიყო. ჩვენი ორი ჰაეროპლანი გვაკლია.

**ლონდონი.** თიბათვის 7. ოფიციალი. მონში-და პრეს აღმოსავლეთით ჩვენ ხელ-ახლად დავიპყარით მოწინავე სადარაჯოები. მდ. სუშეს აღმოსავლეთით გუშინ ღამით მტერი ჩვენს პოზიციებს ყუმბარას უშენდა და სამჯერ კონტრ-იერიში მოიტანა, მაგრამ სამჯერვე მოვიგერიეთ.

**იტალიეთის ბანაკის ცნობა**

**რომი.** თიბათვის 7. ოფიციალი. გუშინ აზიაკის ზეგანზე ჩვენ მტრის სიმაგრეებზე იერიში მივიტანეთ, დიდათ დავაზიანეთ და ბევრს ადგილებში წინ წავიწიეთ. 52 ე დივიზიის ჯარმა ორტიგაროს მთის სიმაგრეები და მაღლობი „2105“ დაიპყრო. ამასთანავე 936 ტყვე წამოვიყვანეთ.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** თიბათვის 7. დღის ოფიციალი. გათენებისას ეილეტისა და ლაფოს წისქვილის შუა მდგომ ჩვენს ჯარს მტერი თოფს უშენდა. შევრეს ტყის აღმოსავლეთით და რეიმსის ჩრდილო-დასავლეთით არტ ლერიის დრო-გამოშვებითი მოქმედებაა. შამპანში ტეტიუის მთაზე მთელი ღამე ორივე მხრის არტილერია მარჯვედ ჰმოქმედობდა. ამ ალაგებში მოულოდნელი თავდასხმა მტრისა მოვიგერიეთ. მთა-კორნილიეს მთის დასავლეთით გერმანელთა შემოტევა მალე გაფუ ნტდა. მტერი იძულებული შეიქმნა თხრილებში დაბრუნებულიყო.

**პარიზი.** თიბათვის 7. ეილეტისა და ლაფოს შუა ყუმბარების სროლის შემდეგ გერმანელებმა იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. გაცხარებული ბრძოლა იყო გაილიონის აღმოსავლეთითა და ფილენის სამხრეთით. გერმანელების ცდამ, იერიში მოეტანათ ჩვენს პოზიციებზე რუაიერის ფერმასთან, უნაყოფოდ ჩაიარა. იურტებიზისა და შევრეს შუა, ვერდენის ფრონტსა და ფაშეროვილ-შამბრეს რაიონში საარტილერიო ბრძოლაა.

**ახლო აღმოსავლეთი.**

**პარიზი.** თიბათვის 7. ბრიტანელმა მფრინავებმა ყუმბარები ჩააგდეს მტრის ჯარის ხაზში, სტრუმის დაბლობში, პეტრიჩის ჩრდილოეთით. მიადაგის რაიონში საარტილერიო ბრძოლა იყო. ცრნის რაიონში, ლომნიცასთან ჩვენ მტრის მზვერავთა რაზმები გავფანტეთ.

**ბელგეთის ბანაკის ცნობა**

**ჰავრი.** თიბათვის 7. დიქსმიუდეს სამხრეთით მტრის პატრული უეცრად თავს დაესხა ჩვენ სადარაჯოს, მაგრამ არტილერიის ცეცხლით გავფანტეთ. რამსკაპელეს აღმოსავლეთით, დიქსმიუდესა და ლიზერნუსთან მტერი ჩვენს თხრილებს ყუმბარას უშენდა. დიქსმიუდესა და სტეენსტრატეს რაიონების გარდა, მთელს ფრონტზე უმნიშვნელო საარტილერიო ბრძოლა იყო.

**იალქნიანი გემის დაღუპვა**

**ჰააგა.** თიბათვის 6. გერმანელებმა დაჰღუპეს ნიდერლანდიის იალქნიანი გემი „ალბერტინა“, რომელიც რუსეთისათვის თამბაქოთი იყო დატვირთული; ნიდერლანდიის ინდოეთში მათვე დაიჭირეს გემი „მარიუ“.

**გერმანელ აგენტთა აგიტაცია**

**ლონდონი.** თიბათვის 7. ოფიციალი ცნობით მტკიცდება, რომ გერმანელი აგენტები თურქესტანის მცხოვრებლებში რუსეთის წინაამდეგ აგიტაციას ეწევიან. ავღანისტანში ემირმა ლოიალობა გამოიჩინა. გერმანელთა ინტრიგანები ზოგი დაატუსაღეს, ზოგიც ავღანისტანიდან გააძევეს.

**ომის უმანკო მსხვერპლნი**

**ლონდონი.** თიბათვის 7. დღეს დაასაფლავეს 18 უმანკო მსხვერპლი, რომლებიც სკოლაში დაიხოცნენ გერმანელ მფრინავთა მიერ ჩაგდებულ ყუმბარით. დასაფლავების დროს ლონდონის ეპისკოპოსმა წაიკითხა მეფისა და მისი მეუღლის სამძიმარ წერილი მშობლებისადმი.

**გერმანულ ტიტულთა გაუქმება**

**ლონდონი.** თიბათვის 7. მეფის სურვილისამებრ მეფის ოჯახის წევრებმა მოიხსნეს გერმანული ტიტულები. აღარ იქნება სახელწოდება საქსონიის ჰერცოგები, ხოლო პრინცი ალექსანდრე ბატენბერგსკი ამიერიდან ლორდ მაუნტბატენად დაირქმევა.

**ბელგეთის მისია ამერიკაში**

**ვაშინგტონი.** თიბათვის 6. გუშინ სახელმწიფო მდივანმა ლასინგმა თეთრს სახლში მიაცილა ბელგეთის მისია მისიის მთავარმა მონშერმა გადასცა ვილსონს მეფე ალბერტის პირადი წერილი და ბელგეთის სახით მადლობა გადაუხადა შეერთებულ შტატებს დახმარებისათვის. მისიის საპასუხოთ ვილსონმა რწმენა გამოსთქვა, რომ საქმე, რომელშიაც ამერიკა ჩაერია, ერთნაირს სარგებლობას მოუტანს, როგორც ამერიკელებს ისე ბელგიელ მოქალაქეთაო.

**რუსეთის სადიპლომატო მისია**

**ვაშინგტონი.** თიბათვის 7. დღეს ვაშინგტონში მოვიდა რუსეთის დიპლომატიური მისია, რომელსაც ამერიკელი მოქალაქენი აღფრთოვანებით დაჰხვდნენ. ამერიკელები ნდობით უყურებენ ევროპიულს ახალს დემოკრატიას. მისიის წევრებს მთავრობისა და შტატების მცხოვრებელთა სახელით მიესალმნენ ლანსინგი და ფილიპსი.

**გარეშე საქმეთა მინისტრის საუბარი ჟურნალისტებთან.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 6. გარეშე საქმეთა მინისტრს ჟურნალისტებთან საუბრის დროს უთქვამს: „ჩვენი მოკავშირეები სრულიად კმაყოფილნი არიან დროებით მთავრობის მოქმედებით. ისინი აღტაცებულნი არიან კერენსკის გამამხნევებელ მოქმედებით ჯარში. მოკავშირეები ანგარიშს უწევენ იმ დაბრკოლებებს, რომელნიც ჩვენ გზაში გვეღობებიან და სრულის მოთმინებით ელიან ჩვენ შინაგან საქმეების შედეგებს. მათ არავითარი ძალდატანება არ განუზრახავთ. ხმები მოკავშირეთა იაპონიასთან შეთანხმების შესახებ სრულიად ყალბ საფუძველზედ არის აღმოცენებული. ჩვენ ყველა საკითხზე დაუფარავად ველაპარაკებით მოკავშირეებს. კონფერენციის მოწვევის შესახებ მინისტრს უთქვამს: დროებითი მთავრობა გამოეხმაურა ინგლისის იმ განცხადებას, რომლითაც მან ხელშეკრულებათა გადაშინჯვის სურვილი განაცხადა. ასევე შეხვდა ამას საფრანგეთიც, რაც მეტად სასიხარულოა. სხვათა შორის ჯერ კიდევ არ განხილულა ერთი მეტად საყურადღებო საკითხი—შეერთებულ შტატების კონფერენციაში მონაწილეობის მიღებისა. რუტთან მოლაპარაკებათა შესახებ მინისტრმა განაცხადა, ჩვენ არაფერს არ ვმალავთ მეგობარ ამერიკელებთანო.

**გემ „ანჟურის“ დაღუპვა.**

**პარიზი.** თიბათვის 6. ჩაიძირა გემი „ანჟური“.

## გაზეთებიდან.

**ბულგარეთ ოსმალეთის ახალი ხელშეკრულება.**

ამა წლის დასაწყისში დაარსდა სპეციალი კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა ოსმალეთ-ბულგარეთის ახალი ხელშეკრულება. ხელშეკრულება უმთავრესად ეხებოდა სავაჭრო კონვენციას და საზღვრების შესწორებას. როგორც გამოირკვა ამ კომისიამ შეიმუშავა ის ხელშეკრულება. რომელიც ბულგარეთის სატახტო ქალაქში ოსმალეთის პრემიერს საგანგებოდ თავისი ხელით მიუტანია. ოსმალეთის პრემიერი ბულგარეთში ორი კვირა დარჩენილა, ამ ხნის განმავლობაში ხელშეკრულება სავსებით შეუცვლიათ.

დაწვრილებით თუ რაში მდგომარეობს ეს ხელშეკრულობა და რითი განსხვავდება ის სხვა ხელშეკრულებაში ამას ახლო მომავალი გვაჩვენებს.

# რევოლუცია

## დეპეშები

**ერობის შემოღება.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 6. შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისიამ მოიწონა ის კანონ პროექტი, რომელიც აკმოლინის, სემიპალატინის, ტურგაის, თერჯის და ურალის ოლქებში საერობო დაწესებულებების შემოღებას შეეხება.

**შინაგან საქმეთა მინისტრის რჩევა.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 7. შინაგან საქმეთა სამინისტრო სთხოვს გუბერნიის, ოლქისა და ქალაქის კომისრებს, კავშირი იქონიონ მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტებთან. რჩევა მისცენ ნაოსნობის საქმის წესზე მოსაყვანად.

**გზათა მინისტრის ჩვენება-განცხადება.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 7. გზათა მინისტრმა დროებით მთავრობას კერძო რკინის გზების საბჭოთა განცხადების შესახებ ჩვენება წარუდგინა. საბჭოთა განცხადება ამტკიცებს, რომ როგორც მინისტრ ნეკრასოვის სიტყვები, ისე მისი ცირკულიარები, ტრანსპორტის საქმეს მალე მთლად ასწორავსო. ნეკრასოვმა სთქვა: უკანასკნელ წლებში რკინის გზებზე შემოღებულმა პოლიტიკამ შური და ღვარძლი ჩასთესა უმფროს და უმცროს მოსამსახურეთა შორის. ძირითადი უთანხმოება გზათა მინისტრისა და კერძო რკინის გზების საბჭოთა შორის მხოლოდ ერთმა საკითხმა დაჰბადა. ეს საკითხი რკინის გზის მოსამსახურეთა და მუშების ორგანიზაციების გაერთიანებას შეეხება. მინისტრი იმ აზრისაა, რომ რკინის გზის მოსამსახურეთა მკვიდრი ორგანიზაცია სამშობლოს კეთილდღეობისთვის აუცილებელია და მეტად მიზან შეწონილიც. დემოკრატიული ორგანიზაციები —ეს ხომ სახელმწიფოს კეთილდღეობის მოსაპოებელი იარაღიაო. კერძო რკინის გზების შესახებ მინისტრმა სთქვა, რომ უმთავრესი მათგანი გადატანგადმოტანის საქმეში მეტად დამაბრკოლებელ როლს თამაშობენო. გამოუსწორებელ მდგომარეობაში იმყოფებიან ამ მხრივ სამხრეთ-აღმოსავლეთის, მოსკოვ-ყაზანის, მოსკოვ კიევ-ვორონეჟის, ვოლგა-ბუგულმინის და ჩრდილო-დონეცის რკინის გზები.

კერძო რკინის გზებზე უფრო მეტი დაზიანებული ორთქლ-მავალი მორეპავება ვიდრე სახაზინოებზე. გზათა სამინისტროს აუარებელი თხოვნები მოსდის მცხოვრებთაგან. ისინი კერძო რკინის გზების სახაზინოდ მიღებას მოითხოვენ, რადგან მათ ინტერესებს არავითარ ანგარიშს არ უწევენ კერძო რკინის გზების მმართველ-გამგებლებიო. შემდეგში საყვედურების ასაცდენად, ნეკრასოვი მოითხოვს ტრანსპორტის საქმეს გამხილველ საბჭოს დემოკრატიულ წარმომადგენლობითი საფუძველზე გარდაქმნას. ასეთ კომპეტენტურ ორგანოს ყოველთვის ნება ექნება გზათა მინისტრისაგან გამონახულ საშუალებათა განსჯა-განხილვისა.

**არეულობა შავი ზღვის ფლოტში.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 8. თიბათვის 6 საღამოთი კერენსკიმ შავი ზღვის ფლოტის უფროსისგან აღმაშფოთებელი ცნობა მიიღო. ფლოტის შემადგენლობას და სევასტოპოლის მცხოვრებთ არეულობა მოუხდენიათ. იარაღი აუყრიათ აფიცრებისთვის და ამირბარ კოლჩაკის თანამდებობიდან გადადგომა მოუთხოვნიათ. კერენსკიმ ყველა ეს დროებით მთავრობას აცნობა, მთავრობამ ღამის სხდომაზე დაადგინა: გაეგზავნოს სევასტოპოლის ფლოტის უფროსს და ცენტრალ კომიტეტს შემდეგი მოთხოვნილებები: 1) ფლოტი დაუყოვნებლივ დაემორჩილოს კანონიერ უფროსს და 2) გამოემგზავრნენ პეტროგრადს პირად ჩვენების მისაცემად. დროებით ფლოტის უფროსობა ჩაჰბარდეს ამირბარ ლუკინს, რომელსაც ევალება საქმის ყოველმხრივი და ამასთან მოწინაამდეგების, როგორც სამშობლოს და რევოლიუციის მოღალატეთა შეპყრობის ნება. თიბათვის 8 ღამით კერენსკიმ ადმირალ ლუკინისგან წერილობითი ჩვენება მიიღო. ეს ჩვენება დელეგატთა ყრილობის დადგენილებას ატყობინებდა. დელეგატების ყრილობა მოუწოდებს ყველანი დამორჩილდნენ კანონიერ უმფროსის განკარგულებას და დაუყოვნებლივ დაუბრუნონ იარაღი აფიცრებს, შესწყვიტონ ჩხრეკა-დატყვევება და, ამასთან ერთად, დაემორჩილონ ფლოტის უმფროსის ყველა ბრძანება-განკარგულებას. მომხდარ საქმეების ძირითად მიზეზების გამოსარკვევად შემდეგ გამოძიება იქნება. ხმებია კოლჩაკი სევასტოპოლს აღარ დაუბრუნდებაო. მის წინაამდეგ ლენინელები აგიტაციას ეწეოდნენ, და მიტინგზედ აღშფოთებული ხალხი, მან სამხედრო მეამბოხეებად გამოაცხადაო.

**მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობა**

**პეტროგრადი.** თიბათვის 6. თიბათვის 5-ის საღამოს სხდომაზე შრომის მინისტრი **სკობელევი**, უპასუხებს რა ბოლშევიკებს მათ მინისტრებისადმი უკმაყოფილებაზე, ამტკიცებს ბოლშევიკების კონკრეტ წინადადებათა უსაფუძვლობას და აღნიშნავს, რომ მთავრობის პირველი საქმე რევოლუციურ მუშაობაში, კოალიციურ სამინისტროს შექმნის შემდეგ, კრიტიკაა, რომელიც დემოკრატიის მიერ დანიშნულ მთავრობას რევოლუციურ დემოკრატიის ძალთა ორგანიზაციის საქმეში, უშველა ამავე მთავრობის გასამაგრებლადაო. ინტერნაციონალისტი **მაზურინი** მინისტრების რუსეთის მდგომარეობის სიძნელის გამო, ამბობს, რომ ყრილობამ უნდა გამონახოს საშუალება ამ მდგომარეობიდგან თავის დასაღწევად და ამიტომ საკითხი უფრო ვრცლად უნდა დასვას, ვიდრე მთავრობასთან დამოკიდებულების საკითხია. საჭიროა დაისვას კითხვა მთავრობამ თავის კონსტრუქცია უნდა შეინარჩუნოს თუ კოალიციურ სამინისტროს მაგიერ რევოლუციურ-დემოკრატიული შეჰქმნას.

სასურსათო მინისტრმა **პეშეხონოვმა**, აღნუსხა რა სურსათ-სანოვაგის საქმის მდგომარეობა, განაცხადა, რომ ეხლა, მიღებულ ზომათა წყალობით, საშუალება გვაქვს უზრუნველ ვჰყოთ არმია და დიდი ქალაქები ორის თვითაო. ცოტა საშიშია მხოლოდ მესამე თვე, მარიამობისა. ყოველ შემთხვევაში მდგომარეობა საშიში არ არის. მოსავალს კარგი პირი უჩანს. თურქესტანში, სიცივისა და გვალვის გამო, სრული მოუსავლობაა მოსალოდნელი, მაგრამ წელსა და მომავალშიაც ხალხს ეს მოსავალიც ეყოფაო. რაც შეეხება სხვა პროდუქტებს უნდა ითქვას, რომ ხალხმა თავისი მოთხოვნილება უნდა შეამციროსო. შემდეგ პეშეხონოვი არკვევს გეგმას, თუ როგორ შეიძლება პურის ოპერაციების მოწესრიგება და საჭირო საგნებით სოფლის უზრუნველყოფა. ახლო მომავლის საქმეა გაანაწილოს ის, რაც უკვე არის და გააუმჯობესოს წარმოებაო. წარმოების სისუსტის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მუშა ხელი დიდხანს იმყოფებოდა მძიმე მუხრუჭში, შრომის ჯილდოს დირებულება ნაკლებს იღებდა და რევოლუციის ხანაში მუშათა მოძრაობა ჩვენს ეკონომიურ პირობებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდაო. ეხლა კი, როგორცა სჩანს, კაპიტალისტთა წინააღმდეგობა შესუსტებულია. ბევრი მათგანი მზად არის თავის მოგებაც ჩვენ გადმოგვცეს, მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა მასსამ შეიგნოს, რომ მომენტი იმის მსხვერპლსაცა თხოულობსო. ამგვარს მდგომარეობაში მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება შეუძლებელია. მხოლოდ შეერთებულის ცდით და მეტის ენერგიით, შრომით შეიძლება თავიდგან ავიცდინოთ უბედურებაო. მენშევიკი დანი დასძენს, რომ სასურსათო საქმე დაკავშირებულია შრომის ფასთან, ეს უკანასკნელი საფინანსო და პოლიტიკურ საქმეებთან, ესენი, თავის თავად სამხედროსთან და სხვა. აქედგან აშკარაა, რომ ყველა ეს კითხვები უნდა გაირჩეს ერთის საზომით, მხოლოდ რევოლიუციურ მთავრობის მიერაო. აშკარაა აგრეთვე ისიც, რომ უსაფუძვლოა იმის მტკიცება, ვითომ ამ საკითხების გარჩევა ადგილობრივათაც შეიძლება, იმ გეგმებში, რომლებსაც ბოლშევიკები ემხრობიან. დანი ჰხედავს ერთგვარ მისწრაფებას და ეს მისწრაფება სინამდვილეს დაშორება და რევოლიუციურ რომანტიკის ქაოსში გაშვებაა. ბოლშევიკი ტროცკი ამტკიცებს: ჩვენ არ გვყავს მთავრობა, იგი ხანგრძლივ კრიზისშიაო. ერთ-ერთმა, ყველაზედ უფრო პასუხის მგებელმა წარმომადგენელმა მთავრობისამ, კონოვალოვმა თავი დაანება მთავრობას ვაჭრობა-მრეწველობის თანაგრძნობით და აგერ სამი კვირაა მაგიერი ვერ უშოვნიათო. ასახელებენ ტრეტიაკოვს, მაგრამ აშკარაა, რომ აქ საქმე მხოლოდ 3 რიგების შეცვლაშია. ტრეტიაკოვი უფრო გააღრმავებს კრიზისს, რათა მოსპოს რევოლიუციური მთავრობა და, როგორც კერენსკიმ სთქვა კერძო თათბირის დროს, რევოლიუცია და პროლეტარიატი სიმშვიდით დაიპყრასო. არავინ არ უარჰყოფს მტკიცე მთავრობის საჭიროებას, მაგრამ საქმე იმაშია, ვისი მთავრობაა და ვისა მთავრობს; მთავრობა რევოლიუციურ დემოკრატიისა თუ მთავრობა რევოლიუციურ დემოკრატიაზეო. გახსოვდეთ,—ამბობს ტროიცკი,—რომ ჩვენ არა გვყავს სხვა მთავრობა, გარდა საბჭოებისა. ეხლანდელი, შემოიგებელი კამერების პოლიტიკის წარმოება, უნაყოფოა და ავტორიტეტს დაგვაკარგვინებსო. ტროიცკი აფრთხილებს, რომ მეოთხე სათათბიროს წარმომადგენლებმა ხელში არ ჩაიგდონ რუსეთის რევოლიუცია ყოველს დარგშიო. დეპუტატები თავრიდის სასახლეში სხედან და ელიან, როგორც კერენსკი ამბობს, რ[...] ხალხი ძველ მთავრობასა, ხოლო ბოლშევიკები კი დემოკრატიის წყლულით იტანჯებიან, მაგრამ საქმეს ამგვარად უყურებენ, ისინი რევოლიუციის ხვალინდელ დღეზე ჰფიქრობენო.

**სკობელევი** აუწყებს ყრილობას, რომ მთავრობა ამოქმედებს დეტალურად შემუშავებულ გეგმას ზოგიერთი წარმოების ლიკვიდაციისას, რათა გაანთავისუფლოს და გაანაწილოს შემოქმედებითი ძალები ქვეყნის მეურნეობის მოსაწესრიგებლადაო. ამგვარ დიდ საქმის გაკეთება კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც რუსეთის დემოკრატიას ღრმად ვერწმუნებითო. შემდეგ სკობელევი უპასუხებს ტროიცკის ტრეტიაკოვის დანიშვნის გამო და ამბობს, რომ ეხლა საქმის პიროვნება კი არ სწყვეტს, არამედ პრინციპიო. დასასრულ სკობელევი აუწყებს ყრილობას, რომ თიბათვის 7-ს მოხდება ექვსი მინისტრის სხდომა უმაღლეს სახელმწიფოებრივ დაწესებულების შესაქმნელად, რომელსაც ქვეყნის მეურნეობის მოწესრიგება დაევალებაო. სოციალისტ-რევოლიუციონერი ფირსოვი ამტკიცებს, რომ წარმოების აწევა საჭიროა მთავრობის ორგანიზაციისა და ბურჟუაზიის მარცხენა ფრთასთან შესათანხმებლადაო, რადგან ამას გვიკარნახებს საქმეთა საერთო მდგომარეობა და რუსეთის რევოლიუციის საერთაშორისო მნიშვნელობაო.

**პეტროგრადი.** თიბათვის 6. მეოთხე დღე ყრილობისა. თავმჯდომარეობს **ჩხეიძე**.

**კერენსკიმ** მოაგონა, რომ თიბათვის 6-ს კრონშტადტის აჯანყების წლის თავია და სოციალისტ-რევოლუციონერების მხრით გმირთა ხსოვნას პატივი ვცეთო. ყველანი ფეხზე ადგნენ. **დერუაჟინი** საფრანგეთში მყოფ რუსის ჯარის სახელით მიესალმა ყრილობას და სთქვა, რომ საფრანგეთში მყოფი ჯარი მზათ არის სისხლით ამტკიცოს თავისი ერთგულება დეპ. საბჭოებისა და დროებითი მთავრობისადმი, რომელიც დეპუტატთა საბჭოებთან შეთანხმებითა ჰმოქმედობსო. წაიკითხეს გლეხთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის მისალმების დეპეშა. **ავხქენტიევი** მიესალმა ყრილობას გლეხთა სახელით და იუწყა, რომ მესამე ელემენტი რევოლუციური დემოკრატიისა, მომუშავე გლეხობა, სხვა ორ ელემენტთან ხელი-ხელ ჩაკიდული მიდიოდეს წინ, ახალი, თავისუფალ დიდი რუსეთის ასაშენებლად. (ტაში). სახალხო სოციალისტი **ხნატნიკოვი** ამტკიცებს, რომ წმინდა სოციალისტური მთავრობა ეხლა რუსეთში უდროოაო. რუსეთის ხალხის მასსა ჯერ დაურაზმავია და ადვილი შესაძლებელია ამ გვარმა სოციალისტურმა მთავრობამ ეს მასსა რეაქციის ბურუსში გაახვიოსო. წმინდა ბურჟუაზიულ მმართველობას ფაქტიურად არავითარი უფლება არ ექნებოდა, მაშასადამე ერთად-ერთი თავდასაღწევი გზა—კოალიციური სამინისტროაო.

ბოლშევიკმა **კაუნევმა** ვრცელი სიტყვა სთქვა, რომლის აზრი ლენინის მიერ წამოყენებულ დებულებათა გაფართოება იყო და უარჰყოფდა მთავრობის პრაქტიკას, ამ ერთი თვის განმავლობაში თვალყური ადევნეთო. რუსეთი დაღუპვასთან ახლოაო. საჭიროა რევოლიუციური ზომები და მთავრობამ ეს ზომები არ მიიღო და ვერც მიიღებსო. მას არ ძალუძს დაჰშალოს სახელმწიფო სათათბირო და გარშემო შემოკრებილი რეაქციონური ბუდეო. კოალიციურმა სამინისტრომ უფრო გააფუჭა საქმე, რადგან კონტრ-რევოლიუციამ და ბურჟუაზიამ სოციალისტ-მინისტრთა სახით იშოვეს დამცველები, რომლებიც არავითარ ყურადღებას არ აქცევენ რევოლიუციურ ზომების საჭიროებასაო. კაუნევი უარჰყოფს იმ აზრს, რომ ბოლშევიკებს სეპარატიული ზავი ჰსურთო, რადგან სეპარატიული ზავი მათ მოქმედების ჰორიზონტს გარეშეა. ისინი ესწრაფვიან იმას, რომ რუსეთი გერმანიის ან და ინგლის-იაპონიის იმპერიალიზმის კოლონიად არ იქცეს. ბოლშევიკების მოქმედების ხაზი მსოფლიო რევოლიუციის სფეროშია, რომელსაც მარტოკას შეუძლიან დაამარცხოს დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის დამმონავებელი ჯაჭვიო.

## ყაზახთა ყრილობა.

**პეტროგრადი.** თიბათვის 7. დაიწყო ყაზახთა ყრილობა. ყრილობაში მონაწილეობენ სხვა და სხვა კუთხის ყაზახთა წარმომადგენლები. მათ შორის არიან სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს წევრებიც. ყრილობა დაიწყო დროებითი კომიტეტის სახელით სახელმწიფო სათათბიროს

წ[?]ვრმა ხავატეევმა, მან ასეთი სიტყვა წარმოსთქვა:—საშინელ დროში მოგვიხდა ჩვენ აქ შეკრებ. დარწმუნებული ვარ, რომ ყაზახები ღირსეულად დაიცავენ სამშობლოს და ჩვენ იმედებს გაამართლებენ. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ჯარში დისციპლინა გაჰქრა და ქვესაქმებით. მე კი მრწამს, რომ ყაზახები მტკიცედ დაიცავენ სამხედრო დისციპლინას და დეზერტირობას არ დაიწყობენ. მედგრად ვებრძოლოთ შინაურ და გარეშე მტერს, ვინც კი თავისუფლებას ემუქრებაო". შემდეგ ილაპარაკეს დონის პირველი პოლკის დელეგატებმა, მათ ლენინის და ანარქისტების წინააღმდეგ სასტიკი ზომები მოითხოვეს და ლენინი, მისი თანამოაზრენი და ანარქისტები სამშობლოს მოღალატეებად გამოაცხადეს, რომელნიც თავისუფლების სხივის ჩაქრობას ლამობენ. დელეგატები ამას გარდა სურვილს გამოსთქვამენ, რომ შედგენილ იქმნეს ყაზახთა არმია, რომელსაც სათავეში დონის 1-ლი პოლკი ჩაუდგება (ტაში). მიხეილ როძიანკოს ოვაციები გაუმართეს. როძიანკომ სთქვა, სამშობლოს დაღუპვა ელის, თუ კი ჩვენ მოქალაქეობრივ მოვალეობას არ შევიგნებთო. ხმები ვითომც სახელმწიფო სათათბირო რეაქციონერების ბუდეთ გადაქცეულიყვეს ტყუილია. სახელმწიფო სათათბირო მუდამ მედგრად იბრძოლებს თავისუფლებისათვისაო. ჩვენდა სამწუხაროდ შეუგნებელ მასაში ვრცელდება საზიზღარი ხმები, რომელნიც ჩვენ ქვეყანას დაქსაქსვას ემუქრება. დარწმუნებული ვარ, რომ ყაზახები ღირსეულ პასუხს გასცემენ ამ ჭორებს და მით დაიცავენ სამშობლოს სახელს, რომ ყაზახებმა მხოლოდ ერთი გზა იციან და ეს გზა მტერზედ გამარჯვებით გაიკაფება, რის შემდეგაც ჩვენ მტკიცე ზავს მივახწევთ. ამისათვის ერთი ლოზუნგი უნდა გვქონდეს:—ბრძოლაში ყველა მედგრად წავიდეთ შებღალულ უფლების აღსადგენად, არ დავზოგოთ არც ჯანი და არც ღონეო" (ტაში).

გუჩკოვი ამბობს, რომ ყაზახების მტკიცე ხასიათის წყალობით ომი ბოლომდი უნდა იქმნეს მიყვანილიო. ჩვენ მოკავშირეებთან ერთად უნდა ვუკარნახოთ დამარცხებულ გერმანეთს და მის მოკავშირეებს ზავის პირობებიო. ბევრს ადგილას ხმები გაისმა, რომ საჭიროა ყაზახთა სხვა და სხვა ჯგუფებად დაყოფავო. ღმერთმა გვაშოროს ეს უბედურება.

გუჩკოვის შემდეგ მიესალმა პეტროგრადის ქალაქის თვითმართველობის დელეგატმა. ილაპარაკეს აგრეთვე კალმიკების და ბურატების წარმომადგენლებმა. ილაპარაკეს აგრეთვე აფიცერთა წარმომადგენლებმა და ბოლოს ილაპარაკეს საფრანგეთის, სერბეთის და ბელგეთის წარმომადგენლებმა. მათი სიტყვები ყრილობამ დიდი ყურადღებით მოისმინა.

## ეროვნული საკითხი

**უკრაინის დადგენილება**

**კიევი.** თიბათვის 6. კერენსკისაგან სამხედრო ყრილობის აკრძალვა უკრაინაში, უკრაინელებმა უკანონოდ იცნენ. უკრაინელების სამხედრო ყრილობა დაჟინებით მოითხოვს თავის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას. დღეს ყრილობამ, გარეშე ხალხის დაუსწრებლად, კვლავ განაახლა თავისი მოქმედება.

**უკრაინა და რუსეთი.**

**კიევი.** თიბათვის 7. სამხედრო მინისტრის კაბინეტის გამგეს[?] უკრაინის ჯარის ყრილობას დეპეშა მოუვიდა. ამ დეპეშაში აღნიშნულია, რომ მთავრობას წინააღმდეგობა არ უდევს გულში უკრაინის ჯარის ყრილობის მიმართ. ყრილობამ დაადგინა დაარსებულ იქმნას უკრაინის ჯარის გენერალური კომიტეტი. ამასთანავე მოითხოვენ, რომ დროებითმა მთავრობამ დაუყონებლივ უნდა დაამტკიცოს უკრაინის გენერალური კომიტეტის. ამის შემდეგ ეს გენერალური შტაბი რუსეთის გენერალურ შტაბთან ერთად მუშავებს.

## რუსეთი და უცხოეთი

**გრიმმი სტოკჰოლმში.**

**სტოკჰოლმი.** თიბათვის 7. გუშინ სტოკჰოლმს რობერტ გრიმმი ჩამოვიდა. დიდხანს ელაპარაკა ციმმერვალდის მიმართულების წარმომადგენლებს. გრიმმა უარი განაცხადა ჟურნალისტების ნახვაზე თუმცა პეტროგრადში ნახულის დაწერას დაჰპირდათ.

**საგანგებო დელეგაცია**

**ტოკიო.** თიბათვის 2. შეერთებულ შტატებში გასაგზავნი საგანგებო დელეგაცია იოკაგამიდან გემ „ეკსპრეს-ოფჯაფან"-ით გაემგზავრა.

**ჭაობები იწვის.**

**მოსკოვი.** თიბათვის 6. მოსკოვის მიდამოებში ცეცხლი უკიდია საუფლისწულო ჭაობებს. ცეცხლი ფართო ხასიათს ღებულობს, ამის გამო მოსკოვიდან ჯარი იქმნა გაწვეული ჩასაქრობად.

**ტაძრის გაძარცვა.**

**სამარა.** გაძარცვეს საკათედრო სობორო. მილიციის მიერ შეპყრობილ იქმნა ერთი ბოროტ-მოქმედთაგანი, რომელსაც მოპარული ნივრები აღმოაჩნდა.

**შრომის ჯგუფელების მე-6-ე ყრილობა**

**პეტროგრადი.** თიბათვის 6. თიბათვის 9-ს პეტროგრადში შრომის ჯგუფელების მე-6 ე ყრილობა დაიწყო. მოწვეულ არიან პარტიების ადგილობრივ განყოფილებათა წარმომადგენლები და ოთხთავე სახელმწიფო საბჭოების წევრები.

**ამერიკელების დელეგაცია რუსეთში**

**პეტროგრადი.** თიბათვის 6. ამერიკელ დელეგაციის მეთაურმა რაუტმა თავადი კრაპოტკინი ინახულა. დელეგაციის სამხედრო წარმომადგენლებმა სამხედრო ქარხნები დაათვალიერეს.

**გრიმმი**

**ანნემასსი.** თიბათვის 7. გრიმმი ბერნში დაბრუნდა.

**ქალთა საპედაგოგიო ინსტიტუტის დაარსება**

**პეტროგრადი.** თიბათვის 6. სახალხო განათლების მინისტრმა შეიმუშავა ქალთა საპედაგოგიო ინსტიტუტის კანონპროექტი. ინსტიტუტს საისტორიო საფილოლოგიო და ფიზიკო-მათემატიკური განყოფილებები ექნება. პირველი განყოფილება სამოსწავლო წლის დასაწყისში გაიხსნება.

**ფინეთის სეიმის დადგენილება**

**ჰელსინგფორსი.** თიბათვის 7. ფინეთის სეიმმა დაადგინა: გაუქმებულ იქმნას ის დროებითი სამხედრო გადასახადი, რომელსაც წითელ-ჯვრის სასარგებლოდ რკინის გზის მგზავრები იხდიდნენ. სამხედრო გადასახადი 1916 წლ. თიბათვის 1-ს განკარგულებით იყო შემოღებული. ეს განკარგულებაც, როგორც ფინეთის ძირითად კანონების წინააღმდეგი, უნდა გაუქმებულ იქმნას.

**ინგლისელთა სალამი**

**პეტროგრადი.** თიბათვის 7. ინგლისის მრეწველთა კავშირი სალამს უძღვნის რუსეთის მრეწველობას. იგი გამოსთქვამს კავშირის განმტკიცების სურვილს.

**ებრაელ მასწავლებელთა კავშირი**

**პეტროგრადი.** თიბათვის 7. მოკლე ხანში პეტროგრადში მოწვეულ იქნება ებრაელ მასწავლებელთა ყრილობა, რომლის მიზანიც იქნება რუსეთის ებრაელთა მასწავლებლის დაარსება.

**სკოლის გარეშე განათლება**

**პეტროგრადი.** თიბათვის 7. სახალხო განათლების მინისტრი მოითხოვს დროებით მთავრობისაგან სკოლის გარეშე განათლების საჭიროებებისთვის სამ-მილიონ მანეთს. ამ ფულით განზრახულია დახმარება ელმოუჩინონ სახალხო კითხვების მომწყობლებს, საკვირაო შკოლებს დაჭრილთა და დაშავებულთათვის დაარსებულ კურსებს და ჯარის-კაცთა შვილების დაობლების საალმზრდელო დაწესებულებებს.

**ნამეფარ კონსტანტინეს მოგზაურობა**

**ბერნი.** თიბათვის 6. ნამეფარი კონსტანტინე დღეს სადამოთი საკუთარ მატარებლით კიასსოში მოვიდა. მას ჯარის წინამძღოლი ოდუ შვეიცარიის მთავრობის სახელით მიესალმა. ოჯახის გარდა მას თან ახლავს 50 კაცი. 20 წუთის შემდეგ მატარებელი ლუგანსაკენ გაემგზავრა, სადაც ნამეფარი 3—4 დღეს დაჰყოფს და შემდეგ ტუნისკენ გაემგზავრება.

**მემამულეთა მიწების მისაკუთრება**

**ყაზანი.** თიბათვის 7. სპასის მაზრიდან ცნობები მოდის, რომ გლეხები მემამულეთა მიწებს ისაკუთრებენო.

**სასწავლებლის დარბევა**

**ტაგანროგი.** თიბათვის 7. ნიკოლაევის უბანში მოზარდი მოწაფეები შეცვივდნენ სახალხო სასწავლებლის შენობაში და სულ ერთიანად დაარბიეს იგი. დასწვეს მრავალი დგამი, სამოსწავლო ნივთები და წიგნები.

**ანარქისტების გაძევნა**

**პეტროგრადი.** თიბათვის 7. სასამართლოს პალატის პროკურორმა დაადგინა ძალით განდევნილ იქმნან 24 საათის განმავლობაში დურნოვის სახლიდან ანარქისტები.

**ფინელი სოც.-დემოკრ. ფინეთის დამოუკიდებლობას მოითხოვენ**

**ჰელსინგფორსი.** თიბათვის 7. დასრულდა ფინეთის სოც.-დემოკრატების პარტიის ყრილობა. მიღებულ რეზოლიუცია 1915 წლის ციმმერვალდის რეზოლიუციას სრულ სოლიდარობას უცხადებს და რუსეთისაგან ფინეთის ჩამოშორებას და მის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას მოითხოვს. მიღებულ რეზოლიუციით მშვიდობიანობის დროს ფინეთის მიწაზე რუსეთს თავისი ჯარი არ უნდა ჰყავდეს. ყრილობამ ოთხი დელეგატი ამოირჩია სრულიად რუსეთის დეპუტატთა საბჭოების ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად.

## გაზეთ „საქართველოს" კანტორისაგან.

### ხელის მომწერთა საყურადღებოდ:

**ვისაც გაზეთის ფასად გადახდილი ჰქონდა 5, 7 და 8 მანეთი, გაზეთის გაგზავნა ყველას მოესპობათ.**

პროვინციებიდან თვიური ხელის მოწერა არ მიიღება.

## გაზეთებიდან.

**მოძრაობა ისპანეთში**

ისპანეთიდან მოსული დეპეშები, ისპანეთის ფრიად მძიმე მდგომარეობას გვიხატავენ. ალფონს მეცამეტის ახლო მდგარი პირნი მეფის სრულს გარიყულობაზე ჰლაპარაკობენ. მისმა დამოკიდებულებამ მემარჯვენე და მემარცხენეთა ლიდერებთან იმ დასკვნამდე მიიყვანა ხალხი, რომ არავის არა ჰსურს პასუხის მგებლობა. მოძრაობას სუფთა რესპუბლიკანური ხასიათი აქვს და ამის განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევს, რაიც მთავრობას სავსებით ასუსტებს. მადრიდის ბარსელონის პროვინციები სავსეა ჯარის-კაცებით, რომლებსაც ლაშქრისთვის თავი დაუნებებიათ და ჯუნტას მიმხრობიან. ლაშქარი ორგანიზაციასა ჰსაჭიროებს; მთელი მოძრაობა, რუსეთის რევოლიუციის გავლენის ქვეშ არის. პოლიტიკურ წრეებში აშკარად ამბობენ, რომ მეფის ძალა სახელმწიფოში უკიდურესს კრიზისს განიცდის, და რომ იგი ძალა პასუხს აგებს უკანასკნელ საუკუნის თავის პოლიტიკაზე, რომელმაც შინაურობაში ფერერის სიკვდილით დასჯა ჰშვა ხოლო გარეთ—მოროკოს ექსპედიცია ჩაჰშალა.

## საბერძნეთის მდგომარეობა

**უმაღლეს კომისრისგან შედგენილი დათხოვნილების სია.**

**ათინა.** თიბათვის 5. უმაღლეს კომისარისგან შედგენილ დათხოვნილთა სიაში მოჰყვნენ ყველა მინისტრ-პრეზიდენტები, რალლისის და დემეტრაკოპულოს გარდა, რამდენიმე ოფიცერი, გენერლები, ორი მიტროპოლიტი და სხვანი, რიცხვით 150-ზე მეტი. დათხოვნილები პირეიის სამხედრო სამართველოს უნდა წარუდგნენ. მათგან დაახლოვებით 40 კაცს გადაასახლებენ.

## უკანასკნელი დეპეშები

**სტოკჰოლმში ხმა გავრცელდა, ვითომც პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭო სოციალისტთა კონფერენციის მოწვევის ინიციატივაზე უარს ამბობსო. თუ ეს მართალია, ინიციატივა ალბად ჰოლანდია-სკანდინავიის კომიტეტის ხელში გადავა.**

—

**ინგლისელმა მეზღვაურებმა მთავრობას მოსთხოვეს გაუქმება იმ პასპორტებისა, რომლებიც რუსეთში წამოსულ პაციფისტებს მისცეს.**

—

**გაცარცვეს ლებედევის ქარხნის სამმართველო. წაიღეს 200,000 მანეთი. ქურდებმა იარაღი დასტოვეს. ამ იარაღის ღირებულება 10,000 მანეთია.**

## ქრონიკა

### კავკასია

**მოწოდება გლეხთადმი.** გლეხთა და მუშათა დელეგატების ყრილობა უკვე იყო თბილისში და კიდევაც დამთავრდა. მაგრამ როგორც ვიცით, ერთი ჯგუფი კიდევ მეორედ აპირებს გლეხთა საოლქო ყრილობის მოწვევას. პირველი კრება დანიშნულია მიმდინარე თიბათვის 19-ს. ამ ყრილობის მომწყობ საორგანიზაციო ბიურომ მოწოდება გამოსცა, რომლითაც ურჩევს გლეხებს, განურჩევლად ეროვნებისა, უთუოდ გამოჰგზავნონ თავიანთი დელეგატები ყრილობაზე, რომელიც გამოარკვევს გლეხთა საჭიროებას.

### საქართველო

**ქართველ სტუდენტებისადმი.** საქართველოს სხვა და სხვა კუთხის სტუდენტებისაგან ცნობები მოგვდის ჩამოსვლაში ტექნიკურ დაბრკოლებათა შესახებ. ამის გამო, კონფერენციის მომწვევი კომისია სთხოვს თბილისში მყოფ ქართველ სტუდენტებს და კურსის ქალებს დაესწრონ საერთო კრებას, რომელიც დანიშნულია შაბათს, თიბათვის 10, 5 საათზე, ოლღის ქუჩა № 52. საჭიროა კრება აუცილებლად მოხდეს.

**ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ** მოისმინა რა თავის სხდომაზე ექიმების, ფარმაცევტებისა და ბუნებისმეტყველთა კახეთის კავშირის მოხსენება გუბერნიის საექიმო ყრილობის მოწვევის შესახებ შემდეგი დაადგინა:

1. გუბერნიის საექიმო საქმის რეორგანიზაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს თვითმართველობის პრინციპის განხორციელებასთან და ამიტომ არ შეიძლება მისი სწორედ გადაწყვეტა ცალკე გუბერნიების გამოყოფით.

2. საპროგრამო კითხვები სუსტად არის გაშუქებული, მაგალითად, საზოგადოება მხურვალედ მიესალმება ფერშლების უფლებრივსა და მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ არ შეუძლიან მიიღოს მათი ცოდნის და ექიმთა ცოდნის გათანასწორება და მაშასადამე არა ჰსურთ მათი გათანასწორება სპეციალ საექიმო სფეროში.

3. საზოგადოებას უსაფუძვლოდ მიაჩნია კახეთის ხსენებულ კავშირის გამოყოფა გუბერნიის თავისუფალ საექიმო ორგანიზაციათაგან, რომლებიც აგრეთვე დაინტერესებულნი არიან გუბერნიაში და მთელს მხარეში სამედიკო საქმის სწორე მსვლელობით.

და აი ზემოხსენებულ დადგენილებათა მიხედვით ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება თავის უარყოფით დამოკიდებულებას გამოსთქვამს ექიმთა, ფარმაცევტთა და ბუნებისმეტყველთა კახეთის კავშირის უდროო მოქმედების გამო.

**სწავლა-აღზრდის საქმე.** თიბათვის 8-ს სხდომა ჰქონდათ თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობას, სახალხო სკოლების დირექციის საქმეთა დროებით კომიტეტს და ნაციონალურ სექციებს. დადგენილ იქმნა მოეწყოს პედაგოგიური კურსები თბილისში მარიამობისთვის პირველიდან დამლევამდის და ამ საქმის გასაძღოლად ეთხოვოს ამიერ-კავკასიის კომისარიატს 95.000 მან. როგორც ნავარაუდევია, კურსებზე იქმნება 800 მასწავლებელი. თითო კაცს დღიურ ხარჯად მიეცემა 3 მან. და გზის ხარჯათ 15 მან. ლექტორებისათვის გადიდება 7.000 მან.

### თბილისი.

**თავისუფლების სესხი.** აპრილის 6-დან ვიდრე თიბათვის 5-მდე თბილისში სხვა და სხვა ბანკებსა და კასებში ხელი მოუწერიათ 13.320,690 მან., ხოლო თბილისის გუბერნიაში 1.623,400 მან., სულ 14.944,090 მან. რუსეთის ზოგიერთ დიდ ქალაქების მსგავსად, გადაწყვეტილია თბილისშიაც მოეწყოს თავისუფლების სესხის დღე.

**საგეოგრაფიო საზოგადოებაში.** შაბათს, თიბათვის 10-ს, საღამოს 8 საათზე დანიშნულია საერთო კრება რუსულ საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა. კრება მოხდება სატეხნიკო საზოგადოების ბინაზე, პუშკინის სამკითხველოს შენობაში. კრების საგანია: 1) განყოფილების ნამდვილ წევრის გ. ფ. ჩურსინის მოხსენება: „ყარაჩაის საეტნოგრაფიო მიმოხილვა" და 2) ასარჩევი არიან განყოფილების თავმჯდომარე, მისი თანაშემწე, საქმეთა გამგე და გამგე კომიტეტის წევრები. ეს არჩევნები თიბათვის 3-ს კრებაზე უნდა მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდა საკმაო წევრთა დაუსწრებლობით. ეხლა კი, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, არჩევნები უეჭველად მოხდება.

**დამნაშავის შეპყრობა.** რამდენიმე ხნის წინად ბრბომ დაარბია საკოოპერაციო მაღაზია „მეურნე" და საზოგადოებას დიდი ზარალი მიაყენა. დასარბევად ხალხის წაქეზებაში დიდ როლს თამაშობდა ვინმე ოქროპირიძე. ეს პროვოკატორი თიბათვის 8-ს რაღაც საშუალებით შესულა საქართ. ეროვნ-დემოკრატიულ პარტიის დელეგატთა კრებაზე. იქ იცნეს იგი, კრების დარბაზიდან გამოიყვანეს და დაატუსაღეს.

**თბილისის პოლიტეხნიკუმი.** თიბათვის 8 ს სხდომა ჰქონდა თბილისის პოლიტეხნიკუმის მომწყობ კომიტეტს და დაადგინა მომავალ შემოდგომიდანვე მოეწყოს 2 ფაკულტეტი—სასოფლო-სამეურნეო და საეკონომიო. საკუთარ შენობის უქონლობის გამო, სწავლა გაიმართება კერძო შენობებში, მაგალითად მე-2 სავაჟო გიმნაზიაში. აგრეთვე კომიტეტი ფიქრობს დროებით ისარგებლოს თბილისში არსებულ კაბინეტებით, ლაბორატორიებით, ბაღებით (მაგალ., საბოტანიკო ბაღი) და სხ.

**გადასახლებულთათვის ფულის შეგროვება.** თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა ნება მისცა გადასახლებულთა დამხმარე კომიტეტს შეაგროვოს შეწირულება მთავრობის განკარგულებით გადასახლებულთა გერმანელ ახალშენების სასარგებლოდ.

**ფ. გ. გოგიჩაიშვილი** თბილისის სახაზინო პალატის კომისრად დანიშნეს.

**ვ. ი. რცხილაძე** დასთანხმდა და ერთხმად იქმნა არჩეული თბილისის გუბერნიის წარმომადგენლად მევენახე-მეღვინეთა საბჭოში.

**ვაჭარ მრეწველთა** დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტს კიდევ ერთი წარმომადგენლის ადგილი დაეთმო ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში.

**საქონლის გაძვირება.** თბილისში მიღებულ ცნობების მიხედვით, მაისის 31-დან საშინლად გაძვირებულა მოსკოვში საფთიაქო საქონელი: შეშულობას მაგალითად, ფასი 500 პროც. მოჰმატებია, ქალაღდეულობას 350 პროც, გარდა ამისა, იქიდანვე მიღებულ ცნობების მიხედვით, გამოგზავნილი საქონელი რკინის გზით მოდის ტაგანროგამდე და იმას იქით უნდა წამოიღონ საქარავნო გზით.

**მიტინგები.** ალექსანდრეს ბაღში, ნაშუადღევს, თითქმის მუდამ დღე მიტინგებს ჰმართავენ „ბოლშევიკები". ერთი ასეთი მიტინგი მაისის 8 ს მოხდა, რომელსაც დიდძალი სალდათობა დაესწრო.

**გაფუჭებული ხორცი.** უკანასკნელ დღეებში ხშირად ძალზე გაფუჭებულ ხორცს ჰყიდიან თბილისის ყასბები. გაფუჭებულობა საყასბოში როდი ეტყობა, არამედ სახლში მიტანილს. როგორც ამბობენ ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ სასაკლაოზე ზოგიერთი მეყასბეები დიდხანს მალავენ ხორცს საყინულეში და გაფუჭების შემდეგ გამოაქვთ გასასყიდათ.

**ღვინის მოტანის აკრძალვა.** აქამდისინ ღვინის გადატან-გადმოტანას არავის უშლიდნენ. ეხლა-კი ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა ნება არ მისცა ვინმე სარიბეგოვს ღვინო მოიტანოს განჯის სადგურიდან ნავთლუღში.

### ქუთაისი

**ქუჩების სახელების შეცვლა.** ოლდენბურგის ქუჩა ამიერიდან რესპუბლიკის ქუჩათ იწოდება და ალექსანდროვის ქუჩა ერთობის ქუჩათ.

## მევენახე-მეღვინეთა ყრილობა

თიბათვის 7-ს ყრილობამ თავი მოუყარა წინა დღეებში გამოთქმულ აზრებს და შემდეგი შინაარსის დასაბუთებული რეზოლიუცია მიიღო: განახლდეს თავისუფლად ღვინის ვაჭრობა ამიერ კავკასიასა და მთელ რუსეთში; ღვინის ვაჭრობის წეს-რიგის შესამუშავებლად და სათანადო დაწესებულებებთან და არსებულ მომქმედ ორგანიზაციებთან საქმის დასაჭერად არჩეულ იქმნას საბჭო, რომელშიაც შვიდ სავენახე რაიონიდან თითო წარმომადგენელი დ თითოც მათი მოადგილე. იქნება საბჭოში არჩეულ იქმნენ: ქუთაისის რაიონიდან ბერიკაშვილი და მის მოადგილედ მოდებაძე; განჯის რაიონ. მულინი, მის მოადგილედ გუბელი; ერევნის რაიონიდან ხარაზიანი, მის მოადგილედ თადეოზიან; დაღესტნის რაიონიდან ყასუმ-ბეგი გაიდაროვი, მის მოადგილედ ფინხაზ ხანუკალოვი; ბაქოს რაიონიდან თარჯიმანოვი, მოადგილეთ ციბაევი; თბილისის რაიონიდან წარმომადგენლის მოადგილედ არჩეულია რევ. გაბაშვილი. წარმომადგენელი-კი ასარჩევია, რადგან კანდიდატად დასახელებულმა ვ. რცხილაძემ უარი განაცხადა. შავი ზღვის გუბერნიის რაიონს წარმომადგენელი არა ჰყავს საბჭოში ჯერ, რადგან იქაური ერთი დელეგატი კოგანი ადრე წავიდა კრებიდან და არჩევნებისათვის არ დაუცდია. ყრილობა დასრულდა.

## სომხეთის ეროვნული ყრილობა

სომხების საპარტიათაშორისო კრებები ამ ბოლო ხანს ხშირად იმართება სომხების ეროვნულ ყრილობის მოწვევის შესახებ. გადაწყვეტილია საერთო არჩევნები ყველგან მკათათვის 23 ს დაინიშნოს. ყრილობა თბილისში მოხდება მარიამობისთვის 20-ში. ყრილობის პროგრამაც უკვე შემუშავებულია. პროგრამას ყრილობავე დაამტკიცებს. შედგენილია საარჩევნო ოლქების სიაც.

პროგრამა ასეთია: 1) დამოკიდებულება თანამედროვე მომენტთან დროებით მთავრობასთან და 2) რუსეთის მომავალი პოლიტიკური წეს-წყობილება. 3) ამიერ კავკასიის მომავალი პოლიტიკური წეს-წყობილება და მისი კავშირი რუსეთთან. 4) უმცირესობის უფლებანი. 5) მიწის საკითხი. გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა. 6) ადგილობრივი ენა სახელმწიფო სამმართველოებში., 7) სასკოლო საკითხები (მთავრობის სკოლების ნაციონალიზაცია, ეროვნული სკოლები, ლაზარევის ინსტიტუტი), 8) ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთ-ურთი დამოკიდებულებანი.

არჩევნები პროპორციით მოხდება. წლოვანების ცენზი 20 წელია. 10 ათასი მცხოვრები ერთ წარმომადგენელს ირჩევს. არჩევნების მოსაწყობად თბილისში გაიმართება ცენტრალი ბიურო, ხოლო პროვინციებში ადგილობრივი ბიუროები, თითო საარჩევნო ოლქში თითო. სულ 11 საარჩევნო ოლქია. 1) ერევნის რაიონი (ქალ. ერევანი და მაზრები—ერევნისა, ახალბაიაზეთისა, ნახიჩევნისა, ეჩმიაძინისა, სურმალინისა და შარურ-დარალაგეზისა)—46 დელეგატი. 2) ალექსანდროპოლის რაიონი (ქალ. ალექსანდროპოლი და მისი მაზრა)—19 დეპუტატი. 3) ყარსის რაიონი (ყარსი, ოლთისი, არდაგანი, ყარსის მაზრა, ქ. ყაგიზმანი და მისი მაზრა)—12 დეპუტატი. 4) თბილისის რაიონი (თბილისის რაიონი, მაზრები თბილისისა, ახალციხისა, გორისა, სიღნაღისა, თელავისა, ახალქალაქისა, ბორჩალოსი, ქ. გორი და დუშეთი)—40 დეპუტატი. 5) შუშის რაიონი (მაზრები შუშისა, ზანგეზურისა, უპრიაგინისა)—22 დეპუტატი. 6) განჯის რაიონი (მაზრები—განჯისა, ნუხისა, ყაზახისა, არეშისა და ჯევანშირისა)—20 დეპუტატი. 7) ბაქოს რაიონი (ბაქო, ყუბა, ლენქორანი, სალიანი და მაზრები შემახისა და გეოკჩისა)—12 დეპუტატი. 8) ბათომის რაიონი (ბათომის, სოხუმის და ნოვოროსიისკის ოლქები და ქუთაისის მაზრა)—7 დეპუტატი. 9) დაღესტნის რაიონი (დერბენდი და მისი ოლქი, ქალ. არმავირი, ეკატერინოდარი, მაიკოპი, კავკავი, ყიზლიარი, პიატიგორსკი და მოზდოკი)—7 დეპუტატი. 10) ასტრახანის რაიონი (ასტრახანი, სტავროპოლი, სარატოვი, ცარიცინი, ციმბირი, ასხაბადი, თურქესტანი)—2 დეპუტატი. 11) ბესარაბიის რაიონი (პეტროგრადი, მოსკოვი, კიევი, ხარკოვი, დონის-როსტოვი, ნახიჩევანი, კიშინიოვი, ოდესსა, ბქერმანი, ყირიმი და თავრიდის გუბერნია)—8 დეპუტატი. სულ 185 დეპუტატი იქნება.

## საქართველოს დროშა

**საისტორიო პატარა ცნობა.**

ფარნავაზმა საქართველო ცხრა მისადევრად გაანაწილა და ყოველს დაუდგინა ერისთავი. ეს მისადევრები ანუ საერისთაოები იყვნენ:

1-ლი: რიონის დასავლეთი შავზღვამდე და ეგრისის წყლამდე სვანეთითურთ.

2-ე: რიონსა და ლადო-მთის შორის მცირე ლიხიდამ ზღვამდე. შორაპანი შეიქმნა მისადევრის სატახტოდ.

3 ე: კახეთ-კუხეთ-ჰერეთი.

4-ე: ხუნანი, ბერდუჯსა (დებედას) და მტკვარს შუა ტფილისამდე.

5-ე: სამშვილდე ვერის-წყალ დამფარავნამდე აბოცი-ურთ.

6 ე: წუნი, მტკვრის [illegible] ფანავრამდე და თავამდე მტკვრისა.

7-ე; ოძრახოს, ტაშისკარს ზეითი ზღვამდე და ჭოროხამდე გურიითურთ.

8-ე: კლარჯეთი ზღვამდე.

9-ე: შიდა-ქართლი.

შიდა-ქართლის ერისთავი დაადგინა საქართველოს ლაშქრის სპასპეტად და მას დაუმორჩილა ყველა დანაშთენი ერისთავები, რომელნიც თავიანთ მისადევრებში ხვედრ სახელმწიფო ხარკს მასვე წარმოუდგენდნენ.

თამარ მეფის დროს იყვნენ ერისთავები **სვანთა, რაჭისა, აფხაზთა,**

ცხობისა, ოდიშისა, ლიხთ იმერ-ამერთა (გამგეობა სურამი), კახეთისა, ჰერეთისა, სამცხისა, რომლის ერისთავი იწოდებოდა სპასალარად მის მისდევარ ერისთავებისა.

სავრით ლაშქრობის დროს იჩხიშრობდნენ 4 სადროშონი:—მოწინავეში (სამეგრელო), მემარჯვენედ (იმერეთი), მემარცხენედ (კახ-ჰერეთი) და მეშუაკედ (ქართლელნი) მეფის მოთავეობით.

„ყოველი იყვნია ოთხ სადროშოდ იყო განყოფილი: წინამძღოლნი იყვნენ [illegible] ... (ორმოცი) მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

დროშა ჰქონდათ ფერად-ფერადი. სახას ლექსიკონი: „დროშა, მწვრთნი წიწინი ფერად-ფერადი, გუნდია და გუნდთა საუნჯენი“.

დროშას ჩრდილა ფერუმე ალამი და მოიხრება. საბას ლექსიკონი: „ალამი, ასარ ბუნუდა“, ქართულად საომრე ზორბეს გინა წინასაზედ რადმე შემოსდა მის ზინთქლთეთის“.

ჯამბაკური ორბელიანი ამბობს: „ერეკლე მეფის ბანრაკის ერთს მხარს იყო ლეკვის თავზე ძოწი და მეორის გბ. გაორ გვ. 141).

შ. სანოგადოებრივ ერთი დიდი სტრაოთა, რომელსაც გამოიხატებოდა თამარ მეფე. ... (ტ. 390): „ავმირთ დროშა ალმითა *) წითელ-შავითა“.

... ალორთავად სავთ ...

ბ. „შოთასტრუ-რია, იბილე მეფე (დავ. სახლით) ... (ქ. ფ. 307).

„მოილი (თამარმა) დროშა სვიანად ხმარებული ... (ქ. ფ. 329).

შავეტემე (31) დ. სისვლისი შესახებ ამბობს: „მყარ რა ზმოთა უქუნა რაზმითა გულ-მდუღრულად ლფისთთა სპათათვის, გორგასლიანი—დავითიანი დროშა იახლის მძლევრულად მტერთათვის“.

შემდეგ საუკუნოებში მრავალ სადროშოებად დაიყვნენ-ამერ-იმერნი, მაგრამ, მიუხედავად ძალთა დაქსაქსვისა, ქართულს თავისუფლების დროშას გმირულად ემსახურებოდნენ.

მ. ჯანაშვილი

# სოფლელების თხოვნა

რედაქციამ მიიღო სოფელ ჭიკაანის საზოგადოების წერილი. წერილის ავტორები სხვათა შორის შემდეგს გვწერენ: ...„გთხოვთ დაგვეხმაროთ და საკითხი აღძრათ სადაც ჯერ-არს, რომ ერთი ორ კლასიანი სასწავლებელი გაგვიხსნან და თუ ჩვენ ბნელში ვართ, ჩვენი შვილები მაინც ცოტა ნათელში გაერიონენ. იმასაც გაცნობებთ, რომ ადგილი სასწავლებლის ასაშენებლად შეძენილი გვაქვს ერთი დესეტინა, დანარჩენი თუ რამე ხარჯი იქნება ყველაფერზე მზად გახლავართ. სოფელში ას სამოცი კომლია“.

ას სამოცი კომლიანი სოფელი უსასწავლებლოდაა! ასეთი ამბავი ჩვენში საკვირველი არ არის. ხშირად უფრო დიდ სოფელსაც ჰნახავთ ისეთსაც, სადაც სასწავლებელი არ არის. ვინც თვალყურს ადევნებდა ჩვენი გაზეთის კორესპონდენციებს, იმას ეცოდინება, რომ ზემო იმერეთის მრავალი სოფელი უსასწავლებლოდაა დარჩენილი. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ სოფ. ჭიკაანი უსასწავლებლოდ ყოფილა. თუ მკითხავთ საკვირველი ის არის, რომ სოფელს სასწავლებელი ჰსურს, მამულიც შეუძენია ამ საქმისათვის, ხარჯებსაც ჰკისრულობს, მაგრამ... არ იცის რა ჰქნას და როგორ მოიქცეს—გვაცნობეთ თუ როგორ მოვიქცეთო იწერებიან ჭიკაანელები. ასეა უპატრონოდ დარჩენილი სოფელი, რომ არც კი იცის როგორ დაიარსოს სასწავლებელი. ვის მიჰმართოს, ვის სთხოვოს,—და გაჭირვებული გაზეთების რედაქციებს სთხოვს დარიგებას და შველას.

კარგია, როცა ხალხი ისე ენდობა პრესას, რომ თავის გულის ვარამს, საჭიროებათა წყლულს, სურვილების აღსრულებას მას ანდობს. ეს იმას ჰნიშნავს, რომ ხალხს ესმის პრესის დიდი მნიშვნელობა. მაგრამ რას გააწყობს პრესა? გაზეთს შეუძლიან დასწეროს და ქვეყანას ამცნოს ხალხის გასაჭირი და... მორჩა... ამის მეტს გაზეთი ვერას იზამს. დიდი მნიშვნელობა აქვს ამას, მაგრამ ეს საქმეს თავს ვერ გამოაბამს. საჭიროა გაზეთის იქით მოძრავი მოქმედება, მიდგომ-მოდგომა... ამას კი ხალხის მესვეურნი უნდა სჩადიოდნენ. პროპაგანდისტების გაგზავნას ისა სჯობიან ამისთანა „პატარა“ საქმეების მომწყობი ხალხი დაიგზავნოს სოფლებში—სად სკოლა გახსნან, სად სამკითხველო, ერთგან გზა გასჭრან, მეორეგან წყალი გაიყვანონ და სხვა. იქნებ ძალიანაც საჭიროა და ძალიანაც კარგია სოფლის ხალხის პარტიებად დანაწილება, მაგრამ შეგნების შეტანა და პრაქტიკულად ხელის დახმარება უფრო აუცილებელია.

ასეთი რამ ჩვენს ქვეყანაში არ არის. საინტერესოა ვიცოდეთ, არის თუ არა სოფელ ჭიკაანში რამე კომიტეტი, თუ არის ვინ უდგა მას სათავეში და რას აკეთებს სოფლელების წერილი ჩვენ გვიან მოგვივიდა. შეიძლება ამ ხანში უკვე დაიწყეს მუშაობა, მაგრამ საინტერესო მარტო ამ სოფლის საქმე არ არის, არც ის, გაიჩინა თუ არა მან სასწავლებელი, არამედ ის რომ, ჩვენში სოფელი უმწეოა, რომ ასეა საქართველოში თითქმის ყველგან, პროპაგანდისტ აგიტატორების ანაზარა დატოვებულ სოფელს პატრონი არა ჰყავს.

ი. ტარიშვილი.

# რედაქციის განმარტება

მკითხველს ეხსომება, რომ გაზეთ „საქართველოს“ 90 №-ში მოთავსებული იყო წერილი რედაქციის მიმართ, ამ სათაურით—„პროვოკაცია“. ამ წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ სოფ. გუმბათის ბერძენმა მღვდელმა მღვდელ სიმონოვს (ესეც ბერძენია) წითელ პარასკევს ეკლესიის კარი დაუკეტა და გასაღები წაართვაო. შემდეგ ნათქვამი იყო, რომ მღ. სიმონოვმა ყოვლად უსაღვდელოესობას პლატონს დეპეშა გაუგზავნა ამ ამბის შესახებ, დეპეშა კეთილმოწესის ლარიბოვის სახელით იყო გაგზავნილი, მისდა დაუკითხავად ხელიც მღ. სიმონოვმა მოაწერა ლარიბოვის მაგიერათო, ეხლა კეთილმოწესე ლარიბოვი გვატყობინებს, რომ დეპეშა მის მიერ იყო გაგზავნილი, ხელიც მის მიერ იყო მოწერილი და ბაშკიჩეთის კამისარსაც ქაღალდი თითონ გაუგზავნა, ასე რომ მღ. სიმონოვს სხვისი სახელით არ უსარგებლია. ვენდობით რა მამა ლარიბოვს, ვაცხადებთ, რომ რედაქციას შეცდომა მოუვიდა, მაგრამ რომ ვინმემ ყალბი წარმოდგენა არ იქონიოს საქმის ვითარებაზე, რედაქცია თავის მხრივ აცხადებს, რომ მას მღ. სიმონოვის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონია და აღნიშნული წერილიც იმ ფაქტისათვის კი არ იყო დაბეჭდილი, რასაც ლარიბოვი უარსა ჰყოფს, არამედ იმ ცრუ ხმის გასაბათილებლად, რომელიც „კავკაზსკოე სლოვოში“ იყო მოთავსებული—სოფ. გუმბათის ბერძენი მღვდელი ქართველებმა გააძევესო. როგორც დამტკიცდა, ქართველები აქ არაფერ შუაში ყოფილან, რადგანაც ამ მხარეში ქართველობა სულაც არა სცხოვრობს თურმე. ჩვენ მხოლოდ ამის დამტკიცება გვაინტერესებდა და სხვა არაფერი.

# მზა და მზა

ახალი „პლიჩტავები“.

დედა ჩემს საარაკო ამბავი გადაჰხდა ერთხელ. ცხინვალში ებრაელები შემოეხვივნენ და ცნობისმოყვარეობით ეკითხებიან, „ლა ვენა, ლა უნდა გამოვიდეს შენი შვილი, ე ზაგლანიცა ხომ მოიარა და ლას ჟუჟურებს“! ვიდრე დედა პასუხს გასცემდა, მეორემ შენიშნა: „ალბად პლიჩტავი თუ გამოვა“...

ოდესღაც, იმ ძველს „კურთხეულს დროში „პლიჩტავი“, მართლაც, დიდი კაცი იყო. ვინც იცნობს სოფლის ძველი რეჟიმის ცხოვრებას, მას ეს საარაკო ამბავი არც გაუკვირდება და არც ვინმე მახვილ კვიმატის ანეკდოტად ჩასთვლის. „პლიჩტავის“ მათრახი აბრძოლებდა გლეხობას, იგი ღვთის რისხვა იყო და რას წარმოიდგენდა საბრალო ებრაელის ჭკუა, რომ „პლიჩტავზე“ დიდი სხვა ვინმე არსებობდა. თვით „ხენწიფეც“ სოფლისთვის ისე არ იყო საშიშარი, როგორც ბრჭყალებ დალესილი სოფლის ქორი „პლიჩტავი“.

ახლა გადვიხედოთ, რა სიომ დაჰბერა ახალ ცხოვრების დაწყებით ჩვენს პროვინციაში. დიდი დაკვირვება არაა საჭირო იმის გასაგებად, რომ სოფლის „განახლება“ ამ მხრივ, დიახაც, რომ ზერელედ მომხდარა. მართალია, სოფელმა დაჰკარგა შიში ძველი „პლიჩტავებისა“, მაგრამ... მათს ადგილას ახალი „პლიჩტავი“ წარმოშობა „კამისრის“ სახით, რომელსაც თავისებური ჩაფარი „მილიციონერი“ ახლავს გვერდით. „კამისარიც“ და „მილიციონერიც“ უკვე გათამამებული ბატონპატრონნი არიან სოფლისა. ერთსა და მეორესაც საკმარისად მიაჩნიათ წითელი ნიშნების მიკვრა მკლავზე და მაუზერის გვერდზე დაკიდება, რომ ახალ კაცად გიცნონ, თვით ქვეყნის მხსნელად. სოფლის „კამისარი“ ამით ლაღობს, ამაყობს. თავის თანასწორად აღარავის სთვლის. სოფელი მასთან მიდის როგორც მოსამართლესთან, იყავით თუნდა გუშინდელი გაკიცხული და საეჭვო პიროვნება. თუ კი კაცმა იმდენი მოახერხა, რომ მკლავზე წითელი ნიშანი მიიკრა, მისია ბურთი და მოედანი. საილუსტრაციოდ მიიღეთ პატარა ნიმუში სოფლის ცხოვრებისა. ამბავი მოხდა ს. ბ—ციხეში, პატარა აფთიაქში. მოგეხსენებათ, ამ უექიმობის დროს სოფელში აფთიაქის გამგეც ერთგვარს ექიმობას ეწევა. დილით მას სწვევიან სოფლიდან პაციენტები, ავადმყოფი ქალი, ორი ბავშვით და სამი კიდევ სხვა. მოულოდნელად გამოჩნდა სოფლის კამისარი.

— რა ამბავია?

— მილიციონერი გიცდით...

— მოითმინეთ, ავადმყოფებს გავისტუმრებ და იმასაც ვნახავ.

— როგორ შეიძლება, მილიციონერია...

— კი, მაგრამ ავადმყოფები ხომ...

— ეგ სულ ერთია, მილიციონერის მოცდა არ შეიძლება.

ისიც იძულებული გახდა ქუდი მოეხარნა.

— ამბავი?

— ლაგოდეხში ჯარის კაცები არიან წასაყვანნი და 5 ურემი თქვენ შემოგაწერეთ, როგორც შეძლებულს...

— რატომ მე?

მილიციონერი თავისებურს განმარტებას იძლევა, რომ.. ეს ერთგვარი პროგრესიული ჯარიმაა და კერძოდ 5 ურემი შენ უნდა იშოვნოო.

ამ პატარა სოფლის ცხოვრებიდან აშენებულს სურათში ის კი არ არის საინტერესო, რომ ამ მუშა ხელის ცეცხლის კიდების დროს თუნდაც „პროგრესიული სასჯელით“ 5 ურემი შეაწეროთ პეტრეს თუ ივანეს, არამედ ის, რომ უკმეხობას ჯერაც თავი ვერ დაუხწევია სითამამეშდის და ავადმყოფებს აშორებს უკანასკნელს მომვლელს სწორედ მოვლის დროს. თქმა არ უნდა, ასეთის მოქმედებით ყოველს განახლებას განახლების შინაარს ვართმევთ.

სოფლელთა დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ მათთვის პოლიტიკური საკითხი არც ისე რიგად საინტერესოა, როგორც ომის საკითხი და განსაკუთრებით მიწა. მიწა მათთვის ყველაფერია. მათთვის რევოლიუცია იმდენად რევოლიუციობს, რამდენადაც მეტს დაურიგებთ მიწას. რამდენსაც მეტს დაჰპირდებით, იმდენად თვალშიც რომ ჩაუვარდეთ, გლეხი ხელს არ მოისვამს. სხვაფრივ ვინც გინდა იყო, სულ ერთია. ზემოდ მოყვანილ მაგალითებიდანაც ნათლად სჩანს, რომ მისთვის „კამისარი“ და „მილიციონერი“ გაგრძელებაა „პრიჩტავ-ტრაენიკური“ ცხოვრებისა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. სოფელი უკან იხედება. „უპრიჩტავოდ“ თითქოს ცხოვრება არ შეუძლიან. ამ სახით დღევანდელი „ახალი“ მხოლოდ ძველი რეჟიმის კონტა საჩოხეა, რომელიც დღეს თუ ხვალ შეხუნდება და ისევე სავალალო სანახავი გახდება, როგორც გუშინდელი დღის ძონძის ძველა.

სამწუხაროდ, ვეჩქარებოდი და ვერ მოვასწარ სოფლის ვითარების ყოველის მხრით შესწავლა-გამოკვლევა. პირადად თვალში ნაცემი ამბები კი იმდენად სადა და მარტივი იყო ჩემთვის, რომ ანალიზს არ ითხოვდა განსამარტებლად. ამიტომ იყო, რომ მძიმე ფიქრებით მომიხდა დაბრუნება. ნეტავ როდის იქნება სოფლის ლეზინფექცია ისე მოვახდინოთ, რომ იმანაც განახლების სიო იგრძნოს.

დ. კახრაძე.

# კორესპონდენცია

## პროვინციის ვითარება

**გარეთ-კახეთი.** ავად იყო თუ კარგად სოფლებში და დაბებში საადმინისტრაციო ორგანიზაციები მოეწყო. მართალია, ზოგან უსამართლობაა, ზოგან ხალხს თავის მიერვე არჩეული პირები არ მოსწონს, ბევრგანაც ჰსურთ მათი გამოცვლა, მაგრამ ხალხს რაღაც პანიკა დაემართა და ხმას ვერ იღებს. ამიტომ ბევრგან გაისმის ჩუმი დუდუნი ხალხისა. მაგრამ ეს არაფერია, თუ კი პროვინციის კომიტეტები საქმეს შეუდგებიან. საქმე კი ბევრია. ზოგან სასწავლებელია დასაარსებელი, ზოგან სამკითხველოებია საჭირო, ზოგან გზები და სხვა. უკვე არსებულ სასწავლებლებსაც რეორგანიზაცია და პატრონობა სჭირია. ამას გარდა საჭიროა და აუცილებელი სოფლის დახმარება სურსათ-სანოვაგის მხრივ. გარეკახეთი სეტყვამ რამდენსამე ადგილას ჩარეგვა. ხილი მოცდენილია. პურის მოსავლის ბედი ჯერ არ იცის კაცმა. რას მოუტანს ბუნება ვინ იცის. შეიძლება ისევ სეტყვა მოვიდეს ან გვალვამ იმსხვერპლოს ან გადაჭარბებულმა წვიმებმა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მუშა ხელი აღარ არის. პატარა ბიჭიც კი ძნელი საშოვნელია. საქონელიც ნაკლებადაა. გარეთ-კახეთის ბევრ სოფელში ქათმის ჭირმა ფრინველიც გააწყო. ყველაფერი ეს საბრთხეს უმზადებს ხალხს. ყურძნის მოსავალს კარგი პირი უჩანს, მაგრამ ამის იმედი ხალს არა აქვს. საქმე ის არის, რომ ღვინის ვაჭრობა აკრძალულია. ხმა დადის ხალხში ყურძენს არც კი დააწურვინებენო. ეს ხმა უეჭველია ჭორია, მაგრამ ღვინის გაყიდვის აკრძალვა, ხომ მართალია. ამიტომ ყურძნის მოსავლის იმედი ხალხს არა აქვს. ხილად ყურძენი კარგია, მაგრამ მისი ზიდვა გასაჭირია, ეს ერთი, მეორეც ისა, რომ აქაური ყურძენი, ხილად ისეთი კარგი არ არის, როგორც განჯური ყურძენი. ამიტომ აქაური ყურძენი განჯურს ბაზარზე კონკურენციას ვერ გაუწევს, მით უმეტეს, რომ ბაზარზე, ბევრი ყურძენი შეიძლება გაჩნდეს და ფასები დაეცეს. კარგ ხეირს მისცემდა ხალხს ჩურჩხელა, მაგრამ არც მისით შეიძლება ბაზრის გავსება, მით უმეტეს, რომ რუსეთში გატანა გაძნელდება რკინის გზებზე აწინდელ უწესოებისა და არეულობის გამო. ესეც არ იყოს, ამ პურის სიძვირეში შეუძლებელია კაცმა უდანდარი ფქვილი დაახარჯოს ჩურჩხელას. ასეა სოფლის საქმე. ხსნას კოოპერატივებისგან ელის. ისევ კოოპერატივები თუ უშველიან რამეს, მაგრამ ეს შველა ვინ იცის საკმარისი იქნება თუ არა. თუ სოფელს თავისი პირ-ნახული არ ექნება კოოპერატივში დასახარჯ ფასსაც ვერ იშოვნის. მხოლოდ დიდი სამეურნეო დახმარება და ცოდნის შეტანა დაიხსნის ხალხს.

მ. ჭ.

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

### მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

**ტფილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 8, | 11.08 დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.13 საღ. |

**ტფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 საღ. |
| ბაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 8***, | 8.10 დილ. |

*) დ. გურამიშვილით (გვ. 42—43) ალამი და დროშა ერთი და იგივეა: „...თავდახრით ალამი“... „დროშისა თავდახრილობა“... „...თავს უხრის ალამსა“...

**) ვისრამიანშიაც ცალ-ცალკე იხსენებიან დროშა და ალამი: „შენი ალამი და დროშა ცად გაიწია“ (გვ. 375).


# თბ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი
აცხადებს, რომ კვირას, 11 ივნისს, დილის 11 საათზე,
ახალ კლუბის დარბაზში, დანიშნულია
# წლიური საგუბერნიო კრება
ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა.

კრების განსახილველია:

1) 1916 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში და 2) 1917 წლის საგარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა (იგულისხმება, სხვათა შორის, დახმარების დანიშვნა სხვა და სხვა საზოგადო საგანმანათლებლო და საკულტურო დაწესებულებათათვის, როგორც, მაგალითად, ქართულ გიმნაზიისა და სხვა სასწავლებელთათვის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების, საისტორიო და საეთ. საზ. ქართულ სადრამო საზ. და სხვათათვის).

2—704—5

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

ტსაქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ პარტიის“ (ავტონომისტთა) გაზეთ

# „ხალხის თავისუფლება“-ზე

(წელიწადი პირველი. გამოდის კვირაში ორჯერ)

ივ. გომართლის მახლობელი და მუდმივი მონაწილეობით, მუშათა და ჯარისკაც მწერალთა თანამშრომლობით დ იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.

გაზეთის მიზანია: მუშათა ხალხის სამსახური, ეროვნულ საკითხის მუშური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტების გაერთიანება და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულარიზაცია ხალხში.

გაზეთის ღირს: ამა წლის ბოლომდე—5 მან., თითო ნომერი 5 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ., № 20, ნ. არჯევანიძის სახ. ალექსანდრეს ბაღის თავში) და „სორაპნის“ სტამბის კანტორაში, მისამართი: Тифлисъ, Ред. „Халхисъ Тависуфлеба“ I. Имедашвили.

(10—638—15)

# 1917 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

# „ნაკადული“-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

**ფოსტისთვის:** Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსავლელი დავითის ქ. № 2.

დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

(291—39)

# სააავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსავარულე ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

**ზელანუე**—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ლებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
**გეინაცი**—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
**ასპისოვი**—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
**ფირალოვი**—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
**მონხე**—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
**ჩუდნოვსკი**—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
**ბეგზადოვი**—ქალთა და საშვებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
**იოხელიანი**—ქალთა დ საშვებიო ავად. ლებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
**ნარიმანოვი**—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
**დეკანოზოვი**—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
**ტრონცკაია**—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
**ბაგდოევისა**—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
**ალიხანოვისა**—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—21

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე **ლალიძის** და ამხ-ს ქარხნის ხაჩქეთისა ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლალიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართრთულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია

„ლალიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლალიძის წყალია მომზადებული ხრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

# თავზის მრეწველნი
# ძმ. ძეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 519.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. ... ახალი ქვირითის ... მცირე მარილიანი, შავი „მგ-შიანი“ ... ცოცხალი თევზი. ... ლოქო, გვაქვს აგრეთვე ... კონსერვები და ხარიცინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ... (წ.)